სახ. სახ. რეპუბ. ბიბლიოთეკა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 155 (20196) — ქვირა, 3 ივლისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.



საბოლოო სხდომის დროს. — საქალაქო-საქალაქოთაშორისო ტელეფოტო.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუცია

ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ ფართოდ განიხილა და მიიღო დიდი გადაწყვეტილებანი გარდაქმნის გაღრმავების, პოლიტიკური სისტემის რეფორმის, პარტიისა და საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ. მათ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ბედისათვის, წარმოადგენენ გარდაქმნის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს და ამავე დროს მის მძლავრ დამჩქარებელს, უსახავენ საზოგადოებას შესაძლებლობას გულდაჯერებით იაროს რევოლუციური განახლების გზის, განამტკიცოს პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის როლი.

მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება გადაუდებელი ხასიათისაა, და საჭიროა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ შევუდგეთ მათ რეალიზაციას.

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ ფართოდ განიხილა და მიიღო დიდი გადაწყვეტილებანი გარდაქმნის გაღრმავების, პოლიტიკური სისტემის რეფორმის, პარტიისა და საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ. მათ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ბედისათვის, წარმოადგენენ გარდაქმნის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს და ამავე დროს მის მძლავრ დამჩქარებელს, უსახავენ საზოგადოებას შესაძლებლობას გულდაჯერებით იაროს რევოლუციური განახლების გზის, განამტკიცოს პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის როლი.

მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება გადაუდებელი ხასიათისაა, და საჭიროა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ შევუდგეთ მათ რეალიზაციას.

კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია:

1. მოეწყოს წელს საანგარიშო საარჩევნო კამპანია პარტიულ ორგანიზაციებში, პოლიტიკური სისტემის რეფორმის, პარტიის ცხოვრების დემოკრატიზაციის შესახებ კონფერენციის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

განხორციელდეს მომდინარე წლის დამლევამდე პარტიული აპარატის რეორგანიზაცია, შეტანილ იქნეს საჭირო ცვლილებანი მის სტრუქტურაში, პარტიახა და საბჭოებს შორის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

რეკომენდაცია მიეცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს განახორციელოს ამ მიზნით საჭირო პრაქტიკული მუშაობა.

2. კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი ხელიის განსახილველად შეტანილი იქნეს საბჭოთა ორგანოების გარდაქმნის შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტები, სსრ კავშირის კონსტიტუციის საჭირო დამატებანი და ცვლილებანი, აგრეთვე 1989 წლის აპრილში მოეწყოს სახალხო დეპუტატთა არჩევნები და ყრილობა, რომელზეც შეიქმნას სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანოები.

რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და ამ საფუძველზე ხელმძღვანელი საბჭოთა ორგანოების ჩამოყალიბება რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლად მოეწყოს 1989 წლის შემოდგომაზე.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის დახურვისას

ამხანაგებო! ჩვენი კონფერენცია ამთავრებს მუშაობას. დასკვნების შედეგების მიხედვით ისინი არის მიღებული დოკუმენტები, თვით ამ დოკუმენტების განხილვა გვთავაზობს ერეკლი დასკვნის საჭიროებისაგან. და მიუხედავად ამისა, კონფერენცია ისეთი მასშტაბის მოვლენაა, რომ არის მოთმხვნელება ყველაზე მკაცრი საზომით შეავფასოთ განვლილი ოთხი დღის განმავლობაში ჩვენ მიერ გაწეული მუშაობა.

ეს საჭიროა არა იმისათვის, რომ ხარკი გადავუხადოთ თითოეული მონიგი პარტიული ფორმისადმი ქების ტრადიციებს, რომლებიც წინათ იყო დამკვიდრებული. ეს, ვფიქრობ, საჭიროა იმისათვის, რომ თავად გავარკვიოთ, თუ რა ადგილი უკავია XIX პარტიულ კონფერენციის პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში. მოხდა დიდი მოვლენა ჩვენი პარტიის ისტორიაში (ტაში).

უწინარეს ყოვლისა, გამართული დისკუსიის ატმოსფეროს შესახებ. ეს იყო ნამდვილი გულსადილი, პარტიული სკა-ბაასი იმ უმთავრესის შესახებ, რაც დღეს აწუხებთ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, ცდა გვქონდა პასუხი კითხვებზე, რომლებიც მათ აღელვებთ. ასეთი სკა-ბაასი, ამხანაგებო, ჯერ არ მოსწრებია ყრილობათა სასახლეს და, ვფიქრობ, არ შეეცოდავთ ჭეშმარიტებას, თუ ვიტყვით, რომ არადერი მსგავსი ჩვენში არ ყოფილა თითქმის ექვსი ათწლეულის მანძილზე. (ტაში). ამ თვალსაზრისით უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კონფერენციამ ჩაიარა ლენინური სულისკვეთებით, იგი გამსჭვალული იყო დიდი პასუხისმგებლობით ხალხის წინაშე, რევოლუციის წინაშე. (ტაში). და მარტო ესეც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ დელეგატთა განსაკუთრებით დიდი აქტიურობა. ჩვენ, უნდა ითქვას, მარტივ სიტუაციაში როდი აღმოვჩნდით. მარტო კამათი გამოსვლისათვის ჩაწერილთა რიცხვმა ხომ დაახლოებით სამასი კაცი შეადგინა. სამწუხაროდ, ყველამ ვერ შეძლო გამოსვლა, მაგრამ გარკვეულწილად აზრის გამოთქმის მოთმხვნელება დაკმაყოფილდა სარედაქციო კომისიების სხდომებზე — მე გითხრათ, რომ ეს სიტყვა მიიღო დაახლოებით 150 კაცმა. ეს ჩვენთვის მუშაობის ახალი ფორმაა, რომელშიც საერთოდ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის დელეგატთა თითქმის მეათედმა, სამუალება მოგვეცა საქმიანად გაგვეგო ლიტერატურული დასკვნის დროს წამოჭრილი მრავალი კონკრეტული საკითხი და გვეპოვა მათი გადაწყვეტის გზები.

კონფერენციაზე სუფევდა დიდი მომთხოვნელობის, საკითხთა ფრვალი და პრინციპული დაყენების, ამავე დროს პარტიული ამხანაგობის, ის კი არა, ერთმანეთისადმი კეთილმოსურნეობის სულისკვეთება. და ესეც მაგალითია მთელი პარტიისათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის, ასეც უნდა იყოს თანამოაზრეთა, იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც ხელი მოაკიდეს საზოგადოების გარდაქმნის, განახლების დიად საქმეს და გრძნობენ, რომ მათ ბურგს უკან დგას ასობით, ათასობით, მილიონობით თანამპარტიელი ამხანაგი, ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებიც უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალს ჩვენი მუშაობის მიმდინარეობას. ამ თვალსაზრისით კონფერენციამ —ჩემი აზრით, შეიძლება ასე თქვან — გამოხატა პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში, და გვიჩვენა პარტიის, და არა მარტო პარტიის, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოების მიერ მიღწეული დემოკრატიული განვითარების დონე ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილ სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ახლა ჩვენი მუშაობის შინაარსის შესახებ. მისი მთავარი შედეგი ის არის, რომ ყველა საკვანძო საკითხზე, რომლებიც საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო განხილვას საჭიროებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების საფუძველზე, შემდეგ კი ამ ფარგლებში გამართული განცხადებული დისკუსიის თემად იქცა, შეეთანხმა საპროგრამო პლატფორმა პოზიცია. ამასთან კონფერენციამ არა უბრალოდ მიიწონა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოტანილი წინადადებანი, არამედ ბევრად გააძდიდრა ისინი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების გამოცდილებით. ვიტყვი ისე: ყველანი უდიდესი ინტერესითა და დამბალი ყურადღებით ვუსმენდით ამ ტრიბუნაზე გამოსულ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, შეესიენებენ ალიდ ალუტურის მოღვაწეებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს, საწარმოთა ხელმძღვანელებსა და პარტიულ მუშაკებს.

არსებითად კონფერენციამ მოიცვა პარტიისა და ქვეყნის წინაშე ამ ეტაპზე მდგომ პრობლემათა მთელი კომპლექსი. მაგრამ თუ გამოვყოფთ ყველაზე მნიშვნელოვანს დისკუსიაში და ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, მე ვიტყოდი შემდეგს. კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის როლის საკითხი. რა შეგვიძლია ამ აღვნიშნოთ, თუ მოკლედ შეეჯამებთ დელეგატთა აზრს? არის სრული რწმენა, რომ პარტიას აქვს მოქმედების ზუსტი პროგრამა, რომელიც შეიმუშავა XXVII ყრილობამ და გამდიდრებულია გარდაქმნის უკვე არსებული გამოცდილებით. მას უთოოდ უპირს მხარს ხალხი, რომელმაც მიიღო გარდაქმნის პოლიტიკა და არ დაუშვებს მის უკუქცევას. რამდენადაც მესმის, ორავითარი ეჭვი ამაში კონფერენციის დელეგატებს არ ეპარებოთ (ტაში).

ამ მგზნებარეში, მომთხოვნელად გაისმა სურვილი ჰედავეფენ პარტიას კიდევ უფრო ძლიერს, და ამას შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ, ეს, ვფიქრობ, ყველას გვაბარებს. კონფერენციამ, როგორც მის რეზოლუციაშია ჩაწერილი, მოითხოვა, რომ არა მარტო შინაარსით, არამედ სამმართველის მეთოდებით ჩვენი პარტია სრულად იყოს ლენინური ტიპის პარტია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მან საშუალოდ უნდა თქვას უარი მბრძანებლურ-ბუმბერაზებისს მეთოდებზე და თავისი პოლიტიკა განახორციელოს ორგანიზატორული, საკადრო, იდეოლოგიური მუშაობის მეშვეობით, ამასთან უმკაცრესად დაიცვას საბჭოთა კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული პრინციპები.

სახელმწიფო ორგანოების არავითარი მაგვრობა, არავითარი დიქტატი ერთფაფაკვშრეთის, კომკავშირის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი თუ სხვა კავშირების მიმართ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლი შეიძლება შესუსტდეს? ასეთი ეჭვი გამოთქვა. მე მგონი, კონფერენციამ საკმაოდ მკაფიო და დამაჯერებელი პასუხი გასცა ამ კითხვას: არა. რჩება რა მმართველად, პარტიას აქვს ყველა საჭირო ბერკეტი თავისი ხელმძღვანელი როლის განხორციელებისათვის. მთავარი მათ შორის არის 20 მილიონი კომუნისტი, რომელთა მეშვეობით პარტია ახორციელებს თავის პოლიტიკურ კურსს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში.

დემოკრატიზაციის, საჯაროობის, პარტიული კომიტეტების ფუნქციების შეცვლის პირობებში პარტიის ავტორიტეტი, ამხანაგებო, სერიოზულ გამოცდას გიავლია. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, ეიყოთ გულდაღონილნი: მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ი სისტემის პირობებში, როცა პარტიული აპარატი ყველას და ყველაფერს განაკუბდა, ზოგჯერ ადვილი არ იყო გაგებოდეთ: სადა აქვს პარტიულ კომიტეტსა და პარტიულ მდივან ლიდერის ნამდვილი ავტორიტეტი, და სად — საუკეთესო შემთხვევაში — „თანამდებობის ავტორიტეტი“, და ეჭვემდებარებან მას მხოლოდ აუცილებლობის ძალით.

ეუჭველია, ამხანაგებო, რომ გარდამავალ, პოლიტიკური სისტემის რეფორმა პრინციპულად სხვაგვარ სტატუსიას ქმნის. ახალ პირობებში პარტიის ხელმძღვანელ როლს მთლიანად განსაზღვრავს ის რეალური ავტორიტეტი, რომელიც ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა დამტკიცო კოკერეული საქმეებით. აი, რატომ არის, რომ ჩვენთვის საარსებო საკითხა, დაკმლილი პარტიის წევრთა უმცირესი პასიურობაც კი. ყოველი კომუნისტი უნდა გახდეს გარდაქმნისათვის, საზოგადოების რეფორეციური განახლებისათვის ბებრძოლი. დაე, ეს იყოს ჩვენი კონფერენციის მთავარი განაწესი. (ტაში).

საერთოდ, ამხანაგებო, კონფერენცია გახდა დიდი ეტაპი ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის ლენინური გეზის განვითარებაში, გარდაქმნის თეორიისა და პრაქტიკის გაღრმავებაში, ამით განისაზღვრება მისი პოლიტიკური მასშტაბი და ავტორიტეტი.

ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ერთი პრინციპული მოსაზრება. ჩვენ მიგიღეთ რამდენიმე ღრმად გააზრებული, პასუხსაგები გადაწყვეტილება. მაგრამ თუ გავქვიანურებთ მათს რეალიზაციას, — ეს კი ჩვენი „ერთ-ერთი ქრონიკული სენია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ავიცილეთ თავიდან, იგი გარდაქმნის პირველ წლებშიც გამოვლინდა, — ყველაფერი შეიძლება წყალში ჩაიყაროს. ეს პირდაპირ უნდა ითქვას. მოდით, თავიდან მოვიცილოთ ძველი სენი და დაუყოვნებლივ შეუდგეთ პრაქტიკულ მუშაობას, ნუ დაველოდებით ხურავთარ დამატებითს მითითებებს, ცირკულარებს, ინსტრუქციებსა და ახსნა-განმარტებებს.

უნდა მოვაწყოთ საჭირო მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფარგლებში. საქმე ისე წარვმართოთ, რომ პარტიაში უკვე მომავალი საანგარიშგებო-საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდეს იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებზეც აქ შეეთანხმდით. შემოდგომაზე შეკრებანთ ცვლილებანი ამარტის სტრუქტურაში, ხოლო რაც შეეხება საბჭოების რეორგანიზაციას, ამასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი განიხილოთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საშუალოგამო სესიაზე. 1989 წლის აპრილში შეიძლებოდა მოგვეწყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები, ხოლო მომავალი წლის შემოდგომაზე — საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა.

ითვალსწინებს რა ამ პრობლემების უდიდეს მნიშვნელობას, კონფერენციის პრეზიდიუმს დელეგატთა განსახილველად შემოაქვს მოკლე რეზოლუცია ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის ამ პრაქტიკული განხორციელების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ.

აი ეს, რაც შეეხება კონფერენციის პოლიტიკურ შედეგებს.

ყოველი დელეგატი, შინ რომ დაბრუნდება, შეძლებს თავის თანამშრომელ ამხანაგებს, კომუნისტებსა და უპარტიოებს, ყველა მოქალაქეს უთხრას თუ როგორ ვიმოქმედებთ შემდგომში, როგორ განვახორციელებთ მის გადაწყვეტილებებს.

შემდეგ. კონფერენციის მუშაობის უკანასკნელ წუთამდე ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო საზოგადოების დემოკრატიზაციის, პოლიტიკური სისტემის რადიკალური რეფორმის საკითხი. განვსაზღვრეთ რა მისი ძირითადი მიმართულებები და პარამეტრები, ეფიქრობ, გავეცით პასუხი ჩვენს წინაშე დასმულ მთავარ კითხვას: როგორ უზრუნველყოთ გარდაქმნის გაღრმავება და მისი შეუქცევადობის გარანტება. ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ თავის მთავარ ამოცანას კონფერენციამ თავი გაართვა. (ტაში).

რა თქმა უნდა, მოგვეკოლის დაძაბული ორგანიზაციული მუშაობა რეფორმის განხორციელებისათვის. ყოველივე ეს საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ პარტიაში და საზოგადოებაში. მაგრამ ჩვენ ახლა ვიცით, სახელდობრ როგორ უნდა გარდაქმნათ პოლიტიკური სისტემა, შეეიმუშავეთ საერთო აზრი და გავაფორმეთ იგი პოლიტიკური დებულების სახით.

ორანაკეთ დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცე გადაწყვეტილებას, რომელიც ძლიერად გაისმა კოხფერენციაზე, რომ განვაგრძოთ და გავაღრმაოთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. მისი წარამძღვრები შექმნა ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, საკანონმდებლო აქტების, განსაკუთრებით ისეთი აქტების მიღებამ, როგორიც არის კანონები სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, კოოპერაციის შესახებ. ჩვენი აუცილებელის ცენტრში იყო ახალ პრინციპებზე საწარმოთა დიდი მასეთის მუშაობის პირველ თვეებში შეძენილი გამოცდილება, რეფორმის მიმდინარეობის საკითხები. და ეს სწორია: ყველაფერს, რაც ბაზისში ხდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, ეს გარდაქმნის საძირკველია.

თუ შევეხებით ამ საკითხებზე დისკუსიის საკვანძო, საყრდენ მომენტებს, ლაპარაკი იყო უწინარეს ყოვლისა იმაზე, რომ კონფერენციის შემდეგ ჩვენ საფუძველისად უნდა ვიდგეწოთ იმისათვის, რომ ბოლოდგე მიგიეკვანთ მუშაობა დამუშრუბების მექანიზმის დემონტაჟისათვის. პრაქტიკულად ყველა დელეგაციის წარმომადგენელები ამბობდნენ, რომ ბიუროკრატიზმი ჯერ კიდევ, როგორც იტყვიან, ბრუყალეს აჩენს, ბეეეინაადმდგომ, დამბოკოლ ბეეეკმნის. ამის შედეგად კი რეფორმა მრავალი მიმართულებით ყოვნდება. ეს, შეიძლება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაკვირვებაა, რომელიც მოიტანეს აქ დელეგატებმა, და, მაშასადამე, საქმე ეხება გავრცელებულ მოვლენას. ამიტომ ჩვენ ცენტრალურ კომიტეტშიც, მთავრობაშიც, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებშიც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა უფრო ძლიერ წავეროთ წინ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პროცესი.

ეფიქრობ, დელეგატები ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ამხანაგების აზრს, რომლებიც ამბობდნენ, რომ აზლილდ ეტაპზე საკრძოა თავი მოვეუყაროთ ძირითად ძალებს სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის, უპირველეს ამოცანად წამოვაყენოთ ჩვენი გეგობობისათვის ყოველნაირი დახმარება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა. ის, რის გაკეთებაც ჯერ კიდევ ამ ხუთწლედში შეიძლება, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ჩვენ უკვე დიდძალი დამატებითი კაპიტალური დაბანდება და რესურსები გამოვნახეთ და წარემართეთ სხვადასხვა არხით ამ სფეროში. საკიროა, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად აკეთებისოთ, საქმეში გამოვიყენოთ. სოფლის აღორძინება უბრალოდ ჩვენი წმიდათაწმიდაა მოვალეობაა. ეფიქრობ, კონფერენციის შემდეგ უნდა გავამაკროთ მომეფიფეულობა, კონტროლი დაეუწესოთ აგრარული სექტორის, სოფლის მშრომელთა მხარდასაჭერად მისი დებულებების რეალიზაციის მთელ პროცესს. მაშინ სასურსათო პრობლემის უსწრაფეს გადაჭრასაც შეეძლები (ტაში).

(დასასრული მე-2 გვ.).

საინფორმაციო ცნობა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის შესახებ

1988 წლის 1 ივლისის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

დელეგატები განიხილავდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები“.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. ი. უსმანოვი — სკკპ თაობრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს.ა.შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ვ. ი. ვიალიანი — ეესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ზ. ბ. პუხოვა — საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, ი. კ. ლეგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ი. ა. კვიცინსკი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ს. ა. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. აფანასიევი — გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი. ამით კამათი მოხსენების განხილვის გამო წყდება.

კამათის დამთავრების შემდეგ სიტყვა ითხოვეს დელეგატებმა: სვერდლოვსკის მ. ი. კალინინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ა. ვოლკოვამ, ქ. მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ნ. ნ. ჩაკერიოვმა, სკკპ ქ. მოსკოვის პროლეტარის რაიონის პირველმა მდივანმა ი. ხ. ლუკინმა.

მათ გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება ბ. ნ. ელცინისა და კონფერენციაზე მისი გამოსვლისადმი.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ კონფერენციის რეზოლუციების პროექტების განხილვას:

„სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“.

„ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

„ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შესახებ“.

„სასჯელობის შესახებ“.

„საბარათლებრივი რეფორმის შესახებ“.

კომისიებში განსახილველი დოკუმენტების გამო გამართულ დისკუსიებში გამოვიდა 150 კაცი.

ინფორმაციები კონფერენციის რეზოლუციების მოსამზადებელი კომისიების მუშაობის შესახებ გააკეთეს მათმა თავმჯდომარეებმა: მ. ხ. გორბაჩოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ი. კ. ლეგაჩოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ნ. ი. რიჟკოვმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ა. ნ. იაკოვლევმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ა. ა. გრომეკომ—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ.

პროექტების ყოველმხრივი განხილვის შემდეგ რეზოლუციები მიიღეს შესწორებებითა და დამატებებით.

საბოლოო სიტყვა კონფერენციაზე წარმოთქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა. კონფერენციის პრეზიდიუმის დავალებით მ. ს. გორბაჩოვმა შეიტანა წინადადება მიიღონ რეზოლუცია „ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ“. რეზოლუცია დელეგატებმა ერთხმად მიიღეს.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია დახურულად ცხადდება.

ყველის პარტიული ბიმნი „ინტერნაციონალი“.

პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა ვიცხოვროთ და ვიშრომოთ

3 ივლისს თბილისში დაბრუნდნენ საქართველოს კომპარტიის მიერ XIX საკავშირო პარტკონფერენციაზე წარგზავნილი დელეგატები. ოთხი დღის განმავლობაში პარტკონფერენციის ყველა დელეგატთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები იხილავდნენ გარდაქმნის პერიოდში წამოჭრილ პრობლემებს, ცხარე კამათში ნაზღვრავდნენ საჯაროობისა და დემოკრატიზაციის შემდგომი განვითარების გზებს, რაც ჩვენი საზოგადოების წინსვლის საწინდარია.

პირველი თვითმფრინავის კიბესთან საქონფორმის კორესპონდენტებმა სთხოვეს დელეგაციის წევრებს ეპასუხათ კითხვაზე: როგორ აფასებთ პირადად კონფერენციის შედეგებს და რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად თქვენი მუშაობისათვის.

თამაზ ანანდიკაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე:

— დასკვნა ერთი გამოვიტანე — გარდაქმნის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად შოვიზორებთ მეურნეობრობის სტერეოტიპებს, იმისაკენ მისწრაფებას, რომ კანონების სამყაროლოგი ძირითადი ძალები ხმარდებოდეს მორგ ცირკულარს. ამიტომ სავსებით ეთანხმები ე. კაბაიძის შეფასებას, რომელიც გაისმა კონფერენციის ტრიბუნიდან. ქაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(დასასრული)

კონფერენციის კიდევ ერთი თავისებურება, როგორც მგონია, ის არის, რომ პოლიტიკისა და ეკონომიკის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემები მასზე განიხილებოდა სულიერ სფეროსთან მჭიდრო კავშირით, მათ თითქოსდა პოვეს ზნეობრივი საწყაო. ამით გამოვლინდა იმის ღრმა გაგება, რომ საზოგადოებრივი განვითარების ახლანდელ ეტაპზე, ყველა საზოგადოებრივ პროცესზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უდიდესი გავლენის პირობებში ვერავითარი პრობლემები ნამდვილად ვერ გადაიჭრება ხალხის ინტელექტუალური და მორალური პოტენციალის გარეშე. აქედან გამომდინარეობს მეცნიერების, განათლების, კულტურის პრობლემებზე ლიტერატურისა და ხელოვნების ბედზე მსჯელობის მაღალი, მე ვიტყოდი, გადიდებული ტონუსი.

არ მახსოვს და არ ვიცი სხვა პარტიული ფორუმი, ყრილობებიც კი, რომლებზეც ასე ფართოდ ყოფილიყოს წარმოდგენილი ეს ფრონტი. ამ ტრიბუნიდან გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, იმ ტენდენციებს რომ ასახავენ, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ, ზოგჯერ იბრძვიან კიდეც საზოგადოებრივ შეგნებაში. ეს კანონზომიერია. ჩვენ ვამკვიდრებთ აზრთა პლურალიზმს, უარვყოფთ სულიერ მონოპოლიას. მაგრამ ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილ მრავალფეროვან მსჯელობაში არის მთავარი გამაერთიანებელი აზრი — ყველაფერში უნდა ვხედავდეთ ადამიანს, ვითვალისწინებდეთ ხალხის ინტერესებს, ვამკვიდრებდეთ სოციალიზმის ჰუმანისტურ ღირებულებებს. მაშინ იქნება უზრუნველყოფილი საზოგადოებაში სპეტაკი ზნეობრივი ატმოსფერო, შემოქმედებითი აზრის დაძაბული მუშაობაც, კულტურის ნამდვილი აყვავებაც.

ჩვენ გვჭირდება არა ნათელი მომავლის ღრმა რწმენა, არამედ მეცნიერული პროგნოზი, რომელიც ეყრდნობა იმ ამოუწურავ შესაძლებლობათა ღრმა და ზუსტ ცოდნას, რომლებსაც შეიცავს სოციალისტური საზოგადოების ადამიანი, მისი შრომა და შემოქმედება. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ სოციალიზმის ახალ, ჰუმანურ იერსახეზე, როგორც გარდაქმნის მიზანზე. (ტაში).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონფერენციის ერთ-ერთი გმირი იყო საჯაროობა. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ თავად ჩვენი დისკუსია იყო საზოგადოებაში დამკვიდრებული გულახდილობის, პატიოსნების, გულწრფელობის ატმოსფეროს შედეგი. აგრეთვე იმიტომაც, რომ აქ ვიმსჯელეთ, შემდგომში რა ვუყოთ საჯაროობას, როგორია მისი შესაძლო და გონივრული ფარგლები. და თუმცა აზრები არაერთმნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, აქაც საბოლოო ანგარიშით შევთანხმდით, რომ ყოველნაირად მხარი უნდა დავუჭიროთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათს მუშაობას წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების თავიდან მოშორებისათვის, გაბედული, არაორდინარული, საინტერესო ადამიანების, გარდაქმნის ნამდვილი გმირების სტიმულირებისათვის.

ხოლო მეორე მხრივ, ასევე მკაფიოდ გაისმა მოთხოვნა ჟურნალისტებისადმი, გაზარდონ პასუხისმგებლობა ბეჭდვითი სიტყვისათვის, განთავისუფლდნენ ჯგუფური და უწყებრივი ამბიციებისა და მიკერძოებისაგან, ჭეშმარიტების მონოპოლიური ფლობის პრეტენზიისაგან. ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული ხანა, როცა ბეჭდვითი სიტყვა ავტორიტარულობისა და ბიუროკრატიული თვითნებობის მორჩილი იარაღი ხდებოდა. აი რატომ არის ასე საჭირო ვისწავლოთ დღეს, ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის ჰუმანიზაციის ხანაში, კრიტიკის კულტურა, ამხანაგური პოლემიკის კულტურა. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაც კონფერენციის მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია: ჩვენ ყველანი უკეთ მივხვდით, როგორ უნდა წარვმართოთ პარტიული დისკუსია. (ტაში).

ამ დისკუსიაზე რეაქციის ფარგლებში შესაძლებლად არ მიმაჩნია გვერდი ავუარო ბორის ნიკოლოზის ძე ელცინის გამოსვლას. უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცით, როცა მას სიტყვა მივეცით. როგორც უკვე ვთქვი, დემოკრატიის ფარგლებში საიდუმლოების საბურველი უნდა ავხადოთ ამგვარ საკითხებს, თუმცა, უნდა ითქვას, საიდუმლოება აქ არ არის.

ამხანაგ ელცინის გამოსვლა, იმ ნაწილში, სადაც საქმე ეხება კონფერენციაზე განხილულ კონკრეტულ პრობლემებს, მნიშვნელოვანწილად ემთხვევა მოხსენებასაც, კამათსაც. ამ თვალსაზრისით მისი წინადადება ერწყმის დისკუსიების საერთო ნაკადს. ჩვენ აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ ამხ. ელცინმა, ისევე როგორც სხვებმა, მხარი დაუჭირა გარდაქმნის განგრძობას, მის გაღრმავებას საზოგადოების, ხალხის ინტერესებისათვის.

მაგრამ, აი, რასაც არ შემიძლია დავეთანხმო, ეს არის ბ. ნ. ელცინის განცხადება, რომ გარდაქმნა გამოვაცხადეთ წარმოშობილი უძრაობის მიზეზების საკმაო ანალიზის, საზოგადოებაში თანამედროვე ვითარების ანალიზის, ისტორიის, პარტიის მიერ დაშვებული ხარვეზების ღრმა ანალიზის გარეშე, რომ გარდაქმნა დეკლარაციული ხასიათისაა.

კონფერენციისათვის მზადების, პარტიასა და საზოგადოებაში დისკუსიის დროს, თვით კონფერენციაზე, პრინციპული პოზიციებიდან შევაფასეთ გარდაქმნის მიღწევებიც, პრობლემებიც, შევაჯამეთ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, შრომითი კოლექტივების, მთლიანად ქვეყნის საქმიანობის შედეგები. მე ვიტყვი ასე: ჩვენ სწორად მოვიქეცით, ამხანაგებო, რადგან ყველას გვაწუხებს, როგორ ვითარდება გარდაქმნა. ეს წუხილი გაისმა აქაც, მან ჩვენ დაგვრაზმა, განგვიმტკიცა განზრახვა უფრო მტკიცედ წავწიოთ წინ რეფორმების პროცესი.

ვფიქრობ, არამართლზომიერი და მიუღებელია აგრეთვე ამხ. ელცინის კრიტიკა იმის გამო, რომ სამი წლის განმავლობაში ვერ მივაღწიეთ რევოლუციურ გარდაქმნებს. რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში მივიღებთ ხანგრძლივი პერსპექტივისათვის გათვალისწინებულ საერთო ჩანაფიქრს, გარდაქმნის მეშვეობით ჩვენი საზოგადოების მიერ ახალი თვისების მიღწევას, მაშინ ჯერჯერობით ვერ ვილაპარაკებთ რევოლუციურ გარდაქმნებზე. ჩვენ დიდი დრო მოვახმარეთ იმას, რომ გაგვეგო საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ, წარსული, რომელშიც ფესვი აქვს გადგმული ბევრ ახლანდელ მოვლენას, გარე სამყარო და მასთან ჩვენი ურთიერთკავშირი. ყველაფერი ეს უნდა გაგვეაზრებინა, რომ არ გვემოქმედა „რევოლუციური ნახტომებით, რომლებიც ძალზე საშიშია, არ დაგვეშვა იმპროვიზაცია პოლიტიკაში. ჩვენ უნდა მოგვეზიდა საზოგადოება, მისი ინტელექტუალური მეცნიერული პოტენციალი, რომ გავრკვეულიყავით ყოველივე ამაში და სერიოზული კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეგვემუშავებინა გარდაქმნის პოლიტიკა, შემდეგ კი გადაგვექცია იგი პრაქტიკულ გადაწყვეტილებებად მთავარი მიმართულებით. ეს უნდა გაგვეკეთებინა, თანაც გაგვეკეთებინა პასუხისმგებლურად. ამრიგად, ჩვენ წამოვაყენეთ გარდაქმნის პოლიტიკა, და მისი ალტერნატივა არ არსებობს. (ტაში). ეს თავისთავად პარტიის დიდი მიღწევა განვლილ ეტაპზე.

პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენს ხალხს აწუხებს, ისევე გვაწუხებს ჩვენ, როგორც ამხანაგ ელცინს. და ვფიქრობ, აქ გამოსულებმა, განსაკუთრებით მუშათა კლასის წარმომადგენლებმა, გვიჩვენეს, რომ მშრომელებს აქვთ ამ საკითხების უსწრაფესი გადაჭრის იმედი.

არ ვიცი, რატომ გამოთქვა ამხ. ელცინმა კრიტიკული დამოკიდებულება ცენტრალური კომიტეტის თეზისებისადმიც, ეჭვქვეშ დააყენა მათი საფუძვლიანობა და გააზრებულობა. პარტიაშიც, ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც ეს დოკუმენტი ძალზე სერიოზულ დოკუმენტად აღიქვეს. გაუგებარია მისი ის მტკიცებაც, თითქოს თეზისების მომზადებაში მონაწილეობა არ მიეღოთ ცენტრალური კომიტეტის წევრებს. პირადად მე შევხვდი ცენტრალური კომიტეტის წევრთა ორ მესამედს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი წერდნენ, გამოდიოდნენ თავიანთი შენიშვნებით. და ბოლოს, იყო პლენუმი, რომელზეც განვიხილეთ თეზისების პროექტი, ამხ. ელცინი მონაწილეობდა მის მუშაობაში, მაგრამ არაფერი უთქვამს, არ უთხოვია სიტყვა. აქ ესწრებიან ცენტრალური კომიტეტის წევრები, ახსოვთ, როგორ იყო ეს.

ვფიქრობ, ამხანაგებო, იმის ყველაზე დამაჯერებელი დადასტურება, რომ ქვეყანაში გარდაქმნა მიმდინარეობს, ძალას იკრებს, ჩვენი დღევანდელი კონფერენციაა, დისკუსიების მთელი ხასიათი, მიღებული დოკუმენტებია.

ვცდილობ რა ადამიანურად გავერკვე ყველაფერში, რაც ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროში ხდება, — ეს ხომ უწინარესად გენერალურ მდივანს ეხება, — არ შემიძლია არ დავუბრუნდე საკითხის ისტორიას. როცა ჩვენ ამხანაგ ელცინს მივეცით პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის რეკომენდაცია, იმით ვხელმძღვანელობდით, რომ დედაქალაქის პარტორგანიზაციაში მუშაობას სერიოზული გაუმჯობესება სჭირდება და თვით მოსკოვში შექმნილი ვითარებაც გაჯანსაღებას მოითხოვს. საჭირო იყო გამოცდილი, ენერგიული კაცი, რომელსაც კრიტიკული მიდგომის უნარი შესწევს. ეს თვისებები ჰქონდა ამხ. ელცინს, რაც გახდა ამ პოსტზე მისი დაწინაურების საფუძველი. თქვენმა მონა-მორჩილმაც არ დააკლო ამას ხელი. პირველ ხანებში ამხ. ელცინი აქტიურად ჩაება მუშაობაში, ბევრ რამეს აკეთებდა, რათა გამოეცოცხლებინა იგი, გააჩაღა ბრძოლა მოსკოვში დაგროვილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ჩვენ მხარს ვუჭერდით მას ამ ძალისხმევაში, რადგან გვესმოდა, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახულია ძნელი ამოცანები, მაგრამ რომელიღაც ეტაპზე ვიგრძენით, რომ რაღაც არასასიკეთო რამ ხდება. ეს დაიწყო, როცა დადგა გარდაქმნის პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის, ცხოვრების ყველა სფეროში მისი ტრანსფორმაციის დრო, როცა საჭირო გახდა დაძაბული და გაღრმავებული მუშაობა ძირეული ცვლილებებისათვის. ამის ძალა არ ეყო არც საქალაქო კომიტეტს საერთოდ, არც მის პირველ მდივანს. და ამხ. ელცინი, ნაცვლად იმისა, რომ დაყრდნობოდა პარტიულ ორგანიზაციას, ადამიანებს, კოლექტივებს, გადავიდა დატატანებაზე, მბრძანებლურ მეთოდებზე. ამას მოჰყვა კადრების უსასრულო ცვლა.

თავდაპირველად გვეგონა, რომ ეს, ალბათ გამართლებულია, რომ შერჩეული იყვნენ არა ის ამხანაგები, რომლებიც საჭიროა, ქალაქში გამართულმა კონფერენციამ სწორად ვერ გადაჭრა საკადრო საკითხები. და, ალბათ, ეს ასეც იყო. ყველას როდი აღმოაჩნდა უნარი გადაეწყვიტა ახალი ამოცანები, თვითონ ეკისრა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში ამ შემობრუნების ეტაპზე. მაგრამ როცა მან კადრების ცვლა მეორედ და მესამედ დაიწყო, ამან უკვე შეგვაწუხა. ამხ. ელცინს შენიშვნა მივეცი პოლიტბიუროზე. ამხანაგურად ვუთხარი, რომ ბორის ნიკოლოზის ძემ უნდა გამოიტანოს დასკვნა, გაითვალისწინოს მუშაობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო დახმარება, და მეტი არაფერი.

რა არის, ჩემი აზრით, ამხ. ელცინის როგორც პოლიტიკური მუშაკის დრამა? იმ ეტაპზე, როცა უნდა გადაეწყვიტა პრაქტიკული საქმეები, მას არ ეყო ძალა, და იგი გადავიდა მჟღერალა ფრაზებზე, განცხადებებზე, ადმინისტრირებაზე. მაგრამ მაშინაც — ეს ყველამ უნდა იცოდეს, ჩვენ ეს საკითხი ბოლომდე უნდა გავარკვიოთ — პოლიტბიუროს არ მიაჩნდა, რომ ამხ. ელცინი დაკარგული კაცია, ვეღარ იმუშავებს. ჩვენ კვლავაც მხარს ვუჭერდით მას, მიღებული იყო დიდი გადაწყვეტილებანი მოსკოვის შესახებ, რაზეც უკვე ვილაპარაკე პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე.

1987 წლის აგვისტოში, შვებულებაში ყოფნისას, მივიღე პირადი წერილი ამხ. ელცინისაგან, რომელშიც მან დააყენა საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. საჭიროდ მივიჩნიე არ ავჩქარებულიყავი, ყურადღებით გავრკვეულიყავი ამაში. პოლიტბიუროში არც კი იცოდნენ ამ წერილის არსებობა. გადავწყვიტე შვებულების შემდეგ გავსაუბრებოდი ბორის ნიკოლოზის ძეს და შევთავაზე: მას ჩაეტარებინა ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი, შემდეგ კი შევხვედროდით ერთმანეთს და გველაპარაკა. იგი დამეთანხმა, მაგრამ დათქმულის მიუხედავად მოულოდნელად გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე. მისი გამოსვლის აზრი უკვე მოგახსენეთ, ჩემი გამოსვლა გამოქვეყნდა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, სხვა არაფერი მითქვამს მე მაშინ. ამხ. ელცინმა განხილვისა და ამხანაგების მიერ გამოთქმული შენიშვნების შემდეგ აღიარა თავისი შეცდომები.

მოვიყვან პლენუმის სტენოგრამას — ეპიზოდი სხდომის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ყველა გამოვიდა.

„**გორბაჩოვი.** მითხარი, როგორ ეკიდები ცენტრალური კომიტეტიდან ამხანაგების შენიშვნებს. მათ ბევრი რამ თქვეს შენზე და უნდა იცოდნენ, რას ფიქრობ. გადაწყვეტილებას ხომ ისინი მიიღებენ.

ელცინი. ზოგიერთი გამოთქმის გარდა, მთლიანად ვეთანხმები შეფასებას. ის, რომ დავალალატე ცენტრალური კომიტეტი და მოსკოვის საქალაქო ორგანიზაცია, დღეს გამოსვლა შეცდომა იყო.

გორბაჩოვი. შეგწევს ძალა განაგრძო საქმე?

ხმები. ვერ შეძლებს. არ შეიძლება ასეთ პოსტზე დატოვება.

გორბაჩოვი. მოითმინეთ, მოითმინეთ, კითხვას ხომ მე ვაძლევ. მოდით, დემოკრატიულად მივუდგეთ საქმეს. ხომ ყველა ჩვენგანს სჭირდება პასუხი გადაწყვეტილების მიღების წინ.

ელცინი. მე ვთქვი, დავალალატე-მეთქი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია... ვიმეორებ იმას, რაც ვთქვი: „გთხოვთ გამათავისუფლოთ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობისაგანაც და მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაგანაც".

ასეთია ფაქტები. მას შემდეგ, რაც ამხ. ელცინის გამოსვლა პოლიტიკურად მცდარად ცნეს—ეს მან თვითონაც აღიარა, — მე მაინც ვთხოვე ცენტრალური კომიტეტის წევრებს: მოდით, ახლა ნუ გადავწყვეტთ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების საკითხს, დავავალოთ პოლიტბიუროს განიხილოს ეს საკითხი. მაგრამ სიტუაციამ უკვე ისეთი რეაქცია გამოიწვია, რომ საქმეს ასე ვერ დავტოვებთ. ჩვენ ყველაფერი მოვახსენეთ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმს და იქ ამხანაგებმა ამხ. ელცინის მუშაობის შესახებ უფრო მწვავედ გამოთქვეს აზრი, თქვენ ეს იცით.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ვფიქრობ, რომ ეს გაკვეთილია არა მარტო ამხ. ელცინისათვის, არამედ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და გენერალური მდივნისთვისაც, ყველა ჩვენგანისათვის. განუხრელად უნდა ვადგეთ ჩვენი პარტიის მტიცე აღორძინების გზას, რომელსაც საფუძვლად უდევს ლენინური პრინციპები, — ფართო დემოკრატია, პირველადს პარტორგანიზაციებზე, კადრებზე, არჩევით აქტივზე დაყრდნობა, ვერ გადავჭრით გარდაქმნის ჩვენს წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს, თუ მივმართავთ ძველ მეთოდებს, რომლებიც დაგმო არა მარტო პარტიამ, არამედ მთელმა საზოგადოებამ, თვით დრომ. (ტაში).

და კიდევ ერთი გაკვეთილი, სწორედ შენიშნეს ამხანაგებმა კონფერენციაზე: საჭირო იყო ინფორმირება, ყველაფრის თქმა, მაშინ პროცესი ისე არ განვითარდებოდა, როგორც ახლა მოხდა. (ტაში).

კიდევ ერთხელ ვუბრუნდები, ამხანაგებო, საკითხს იმის შესახებ, რაც ახლა ყველაზე მეტად აფიქრებს დელეგატებს. ამას ვგრძნობ გამოსვლებითაც და წერილებითაც: როგორ უზრუნველვყოთ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაცია. მოდით, პარტიის მთელი ცხოვრება ავაგოთ კონფერენციის რეზოლუციების შესაბამისად, ნუ დაველოდებით, როდის შეიტანს ყრილობა ყოველივე ამას თავის წესდებაში. გვაქვს კონფერენციის პოლიტიკური დებულებები, სწორედ ამ დებულებებით ვიხელმძღვანელოთ. ეს ერთი.

მეორე. მოდით ნუ გადავდებთ საერთოდ პოლიტიკური სისტემის რეფორმას, იგი აუცილებელია, რათა წინ წავწიოთ გარდაქმნის პროცესი.

იგი უკვე დღეს უკავშირდება არსებულ პოლიტიკურ სისტემას. არ უნდა დავუშვათ იმის განმეორება, რაც მოხდა ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმთან დაკავშირებით. ეს იყო დიდი პლენუმი, რომელმაც ღრმად გააანალიზა, გამოავლინა იმის მიზეზები, თუ რა მოხდა ქვეყანაში და პარტიაში. მაგრამ ჩვენ არ გაგვიაზრებია პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მექანიზმები, ისინი თითქოს „ჰაერში გამოეკიდა", საქმე ისე არ აეწყო, როგორც ვიმედოვნებდით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი ბედი ხვდეს პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

მრავალ საკითხს, რომლებიც აქ წამოიჭრა, არ მოიცავენ რეზოლუციები. ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს უნდა განვაზოგადოთ, გამოვიტანოთ პლენუმზე განსახილველად, კონკრეტული დავალებები მივცეთ და კონტროლი დავუწესოთ მათ შესრულებას. ბევრ წერილში წამოაყენეს წინადადება გამოვუშვათ სტენოგრაფიული ანგარიში. ჩვენ ეს აუცილებლად უნდა ვქნათ, რათა ჩვენი პარტია, ჩვენი საზოგადოება შევაიარაღოთ აზრებით, რომლებიც გამოითქვა კონფერენციაზე გამართული დისკუსიების დროს.

და კიდევ, ამხანაგებო, ერთი საკითხი, რომელიც დაისვა კონფერენციის წინ და თვით კონფერენციაზე, რეპრესიის მსხვერპლთა ძეგლის აღმართვის შესახებ. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ ეს ითქვა პარტიის XXII ყრილობაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში და მაშინ ამას მოწონებით შეხვდნენ. ეს საკითხი დაისვა პარტიის XXVII ყრილობაზეც, მაგრამ პრაქტიკულად არ გადაწყვეტილა. როგორც მოხსენებაში ითქვა, უკანონობის მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენა ჩვენი პოლიტიკური და ზნეობრივი ვალია. მოდით მოვიხადოთ იგი მოსკოვში ძეგლის აღმართვით. ამ ნაბიჯს, დარწმუნებული ვარ, მხარს დაუჭერს მთელი საბჭოთა ხალხი. (ტაში).

ვამთავრებ რა ჩემს გამოსვლას, კიდევ ერთხელ ვუბრუნდები საკითხს, რომელიც დაისვა კონფერენციის წინაშე: როგორ გავაღრმავოთ და შეუქცევადი გავხადოთ რევოლუციური გარდაქმნა, რომელიც პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაჩაღდა ქვეყანაში. ჩვენი მუშაობის მთელი მიმდინარეობა, დისკუსიების მასალები, მისი საბოლოო დოკუმენტები დამაჯერებლად მოწმობს, რომ ამ კითხვას კონფერენცია მკაფიოდ უპასუხებს: დემოკრატიზაციის, ეკონომიკური რეფორმისა და პოლიტიკური სისტემის ცვლილებების მეოხებით გარდაქმნას შეუქცევადს გავხდით; რევოლუციური გარდაქმნის მეოხებით ჩვენ თვისებრივად ახალ მდგომარეობას შევუქმნით ჩვენს საზოგადოებას, ახალ, ჰუმანურ და დემოკრატიულ სახეს მივანიჭებთ სოციალიზმს. ჩვენ წინ ვივლით, შემოქმედებითად ვიძიებთ ამ მიზნის მიღწევის გზებსა და მეთოდებს დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში, მტკიცედ ვიმუშავებთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციისათვის. (ტაში).

მ. ს. გორბაჩოვი კითხულობს რეზოლუციის ტექსტს, რომელსაც ერთხმად იღებენ. იგი დელეგატებს უსურვებს დიდ მიღწევებსა და წარმატებებს საქმეებში.

რევოლუციურ განახლებას — შეუქცევადი ხასიათი

1 ივლისს დილის სხდომაზე ტაშით შეხვდნენ დელეგატები ტრიბუნაზე გენერალ-ლეიტენანტ **ბ. ვ. გრომოვის** გამოჩენას, რომელიც წარმოადგენს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის პირადი შემადგენლობის კომუნისტებს. ჩვენ ავღანეთში ჯარები შევიყვანეთ ამ ქვეყნის კანონიერი მთავრობის თხოვნით და ჩვენს ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ცნობილი მუხლის საფუძველზე, თქვა მან. ახლა გამოვდივართ ამ ქვეყნის მთავრობასთან მოთათბირებით იმ შეთანხმებათა ბაზაზე, რომლებიც დაიდო ჟენევაში და მიზნად ისახავენ დამოუკიდებელი ავღანეთის შენარჩუნებას, სადაც, როგორც ცნობილია, კონტრრევოლუციის იარაღი არ დაუყრია. მშვიდობიანი მოწესრიგების მტრები ისწრაფვიან ხალხი დააბრუნონ მის ნახევრადფეოდალურ წარსულში და ამისათვის არაფერს არ თაკილობენ.

ასიათასობით ჩვენმა ჭაბუკმა ომის წლებში მამაცობისა და გმირობის ფათერაკიანი და რთული სკოლა გაიარა. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ ჩვენი შვილების გმირობას. ჩვენ ვკარგავდით იქ ადამიანებს და თითოეულის სიკვდილი მძიმე გულისტკივილს იწვევდა. სხვისი ჭირი არ არსებობს. ასეთ იარებს კი მხოლოდ დრო აშუშებს, და ისიც ყოველთვის არა. მაგრამ ჩვენ, განაცხადა დელეგატმა, ყოველთვის გულს გვიმაგრებდა მხედრული ვალის გრძნობა.

ახლა დასავლეთში ლაპარაკობენ ჩვენს დამარცხებაზე, იმაზე, თითქოს ომი წავაგეთ. ვიღაცას სწორად უთქვამს: სიბრძნეს ზღვარი აქვს, სისულელე კი უსაზღვროაო. ჩვენს ყველა ჯურის მოძულეებს არ სურთ გაიგონ, რომ ავღანეთში მივედით ყველაზე კეთილი ნების მისიით. და ჩვენ ეს ამოცანა შევასრულეთ, თუმცა ძვირად კი დაგვიჯდა.

ორატორმა თქვა, რომ იგი სამჯერ დაბრუნებულა ავღანეთში და შესწრებია ამ ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული კონტრრევოლუციის დანაშაულობებს. და ყოველთვის იგი სულ უფრო მეტად ამაყობდა ჩვენი ჯარისკაცებით, რომლებიც ქალების ცრემლს, ბავშვების მწუხარებას, გამრუდებულ ბედს საკუთარ უბედურებად აღიქვამდნენ. როცა ავღანეთის სადაგ დღეებს აანალიზებ, გამოგაქვს დასკვნა, რომ ჩვენი ახალგაზრდები, სადაურებიც უნდა იყვნენ ისინი და რა საქმიანობასაც ეწეოდნენ, ყოველთვის სწრაფად წვდებიან პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სკოლის გაკვეთილებს და ხვდებიან, თუ რაოდენ საჭიროა გააფთრებით ებრძოლონ მტრებს. მხედართმთავარმა გამოთქვა რწმენა, რომ აქ ვლინდება ის მძლავრი სულიერი მუხტი, რომელიც ჩვენს ადამიანებს შესძინეს საბჭოთა ხელისუფლებამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

სამშობლო ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ავღანეთში მყოფი მეომრები არ გრძნობდნენ თავს მისი ინტერესებისაგან, მოვლენებისაგან მოწყვეტილად. ისინი მართლაც ცხოვრობენ მისი საზრუნავით, გრძნობენ გარდაქმნის რიტმს. ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო იმის საჭიროებას, რომ უნდა იზრუნონ იმათთვის, ვინც შინ ბრუნდება. ისინი, ისევე როგორც დაღუპულთა ოჯახები, უნდა იყვნენ პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების, სამხედრო კომისარიატებისა და კომკავშირის, ჯარის ნაწილების თვალთახედვის არეში.

ავღანეთის ომმა, აღნიშნა დელეგატმა, ჩვენ, მეომრებს, გამოგვატანინა გარკვეული დასკვნები, კერძოდ იმის შესახებ, რომ მხედრული სამსახურისათვის ახალგაზრდების მომზადება ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ ზრუნვა სამშობლოს თავდაცვისათვის დღეს კვლავინდებურად აქტუალურია. გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი პოზიცია, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ომის საფრთხე ჩვენი ქვეყნისათვის მოძველებული ცნებაა: სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ზოგიერთი ცდილობს საეჭვო გახადოს ინტერნაციონალისტ მეომართა გმირობა. არავის არა აქვს უფლება, გულდაჯერებით თქვა ორატორმა, დაამსხვრიოს ახალგაზრდობის რწმენა, რომ წმიდათაწმიდაა მისი სამხედრო ბიოგრაფია, დააკნინოს სამშობლოს დაცვის წმიდათაწმინდა კონსტიტუციური ვალი.

სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად დაასახელა სმოლენსკის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორმა **ნ. კ. ემელინამ** სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდის პრობლემა. მან მგზნებარედ და მტკიცედ ილაპარაკა თავისი დარგის საზრუნავ-საწუხარზე. როდემდე უნდა ვურიგდებოდეთ, განაცხადა მან, დეფიციტს ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაა? ტრიკოტაჟის ფაბრიკებისათვის ახალი მოწყობილობის გამოშვება ახლა თავდაცვის სამინისტროებს დაევალა, მაგრამ მათ ჯერ არ შეუტანიათ ჩვენი განაცხადები სახშეკვეთაში, მაშინ, როცა ჩვენმა ყოფილმა მომწოდებლებმა უკვე შეწყვიტეს მოწყობილობის გამოშვება.

ორატორმა მხარი დაუჭირა კონფერენციაზე ივანოვოს ოლქის დელეგატის ვ. პ. კაბაიძის გამოსვლას. მოგვეზარდა, თქვა მან, ხელგაწვდილი აქეთ-იქით სიარული. მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ჩვენს — მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მოგების 70-80 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტსა და სამინისტროებში მიდის? სმოლენსკის ტრიკოტაჟის ფაბრიკის თვითდაფინანსების პირობებში მუშაობის წლინახევრის მანძილზე მოგება აქ 50 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ მუშათა კოლექტივმა სამართლიანად გამომუშავებული სახსრები ბინების მშენებლობისათვის ვერა და ვერ მიიღო.

სმოლენსკის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, ძირითადად, ქალები მუშაობენ. და მუშაობენ, როგორც ორატორმა განაცხადა, თავდადებით, ყველაფრის მიუხედავად, მუშაობენ უდიდესი პასუხისმგებლობით. რატომ არის, რომ სამინისტროები ასეთივე პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან თავისი დარგის მშრომელთა საზრუნავს? ტყუილად ხომ არ შექმნილა, თქვა დელეგატმა, შრომითი კოლექტივების საბჭოები. და, ბოლოს და ბოლოს, ის საკითხი უნდა განვიხილოთ, რომ სამინისტროები სწორედ მათ უთანხმებდნენ მოგების ანარიცხების საკითხს, და არა პირიქით.

სმოლენსკის ოლქის პარტიული ორგანიზაციის წარმოგზავნილმა იმედი გამოთქვა, რომ საკავშირო პარტიული ფორუმი გამოიმუშავებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ქვეყნის ყველა კომუნისტს დაეხმარება შეკავშირდნენ გარდაქმნის პლატფორმით.

ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვრების გარდაქმნას მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, დელეგატმა **ბ. ი. ოლეინიკმა**. გამოხატა რა მილიონობით საბჭოთა ადამიანის აზრი, მან მოუწოდა კვლავაც ულმობლად ამხილონ დემოკრატიის ყოველგვარი დამახინჯებანი და მისგან გადახრები, რომლებიც დაშვებული იყო პიროვნების კულტის პერიოდში, ავადსახსენებელ უძრაობის ხანაში.

ამავე დროს ლიტერატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ისტორიის „თეთრი ლაქების" ლიკვიდაციის დროს განსაკუთრებით სათუთად უნდა მოვეკიდოთ ყოველივე იმას, რაც საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს ძნელ, ხშირად არაადამიანურად რთულ პირობებში სამშობლოს, მომავალ თაობათა ასაყვავებლად. ლიტერატურამ, თქვა ორატორმა, უნდა განამტკიცოს, და არა დაარღვიოს თაობათა კავშირი. დავიწყებას, ნათესაობის დაკარგვას საშიში შედეგები მოსდევს.

დელეგატმა შემოიტანა წინადადება გამოქვეყნდეს, როგორც მან თქვა, თეთრი წიგნი შავბნელ დროებაზე, და დაასახელონ ამ წიგნში არა მარტო რეპრესიათა მსხვერპლნი, არამედ ისინიც, ვინც გეგმავდა და ახორციელებდა უკანონობის აქტებს. ულმობლად უნდა ვამხილოთ ისინიც, ვინც თავის პროფესიად მაშინ პატიოსანი საბჭოთა ადამიანების ცრუ დასმენა აირჩია. ეს აუცილებელია გაკეთდეს თუნდაც იმისათვის, რომ გავაფრთხილოთ ისინი, ვინც ჩვენს დროშიც მზად არის ამხანაგის მიმართ ანგარებითი ცილისწამებისათვის.

გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურათა განვითარება. დელეგატი დაწვრილებით შეეხო ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ერთა და ეროვნებათა ურთიერთობის პრობლემებს. ეს ურთიერთობა უნდა სრულვყოთ, და არა მარტო კულტურის სფეროში.

მე, თქვა შემდეგ მწერალმა, ჩამოვიტანე რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მიმართვა პარტკონფერენციისადმი უკრაინაში ენერგეტიკის განვითარების პროგრამის გადასინჯვის თაობაზე. ამ დოკუმენტზე ექვსი ათასზე მეტი ხელმოწერაა. ხალხი მტკიცედ ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ მთელი რიგი საკავშირო ინსტანციები ქედმაღლურად ეკიდებიან რესპუბლიკის ბედს. ეს ქედმაღლობა ზოგჯერ უახლოვდება არა მარტო უწყალო სისასტიკეს, არამედ ეროვნული ღირსების შეურაცხყოფასაც.

საქმე ეხება, კერძოდ, ატომური ელექტროსადგურების განლაგებას ისეთ რაიონებში, სადაც ეს არ არის ნაკარნახევი საარსებო აუცილებლობით. მაგრამ დამპროექტებლები, დელეგატის აზრით, საკითხს წყვეტდნენ საკუთარი ინტერესებისამებრ, პრინციპით — როგორც უფრო იოლია.

რა არის ეს: გაუაზრებლობა თუ ბოროტი განზრახვა? — მსჯელობდა ორატორი. მან მოუწოდა მთავრობას ალაგმოს ისინი, ვისაც საწარმოო ძალების განლაგებისას სრულიადაც არ აწუხებს რეგიონებისა და ადგილობრივ მკვიდრთა ბედი. დარბაზის რეაქციის მიხედვით, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ დებულებას ტაშით, ასეთი კოლონიზები ახლა მარტო უკრაინის სს რესპუბლიკაში არ შეიმჩნევა.

დელეგატი შეეხო ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის საკითხებს და ილაპარაკა ხელმძღვანელობის შეცვლის პერიოდულობაზე. კერძოდ, მან გამოთქვა აზრი, რომ მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელი მუშაკი დათქმულ ორ ვადას გაატარებს თავის პოსტზე, მას უნდა შესთავაზონ ერთ-ერთი კონკრეტული უბანი, მაგალითად, რიგითი სამეურნეო საქმიანობა. და თუ იქ იგი გამოავლენს თავის საუკეთესო მხარეებს, თუ, რა თქმა უნდა, ასაკიც და ძალ-ღონეც მისცემს ამის საშუალებას და, იგულისხმება, ხალხი კვლავ ანდობს მას მაღალ პოსტს, არაფერმა არ უნდა დააბრკოლოს ნებისმიერი დონის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში მისი ხელახალი არჩევა.

დასასრულ დელეგატმა შემოიტანა წინადადება მიაღწიონ სკკპ წევრებისა და უპარტიოების სრულ თანასწორუფლებიანობას საკადრო საკითხების გადაწყვეტაში, ყველა პოსტზე ადამიანთა დაწინაურებაში. კრიტერიუმები უნდა იყოს თითოეული კანდიდატის პროფესიული, ადამიანური და პოლიტიკური თვისებები, თქვა მან.

გარდაქმნაში პარტიის როლის ანალიზით დაიწყო გამოსვლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორმა **ე. მ. პრიმაკოვმა**. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, თქვა მან, რომ ამ დარბაზში დამსწრეთაგან ვინმე საეჭვოს ხდიდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს ჩვენს საზოგადოებაში. საქმე ის კი არა, ანდა იმდენად ის არ არის, რომ ერთპარტიული სისტემა ისტორიულად ჩამოყალიბდა ჩვენში. მთავარია მკაფიო დასკვნა: ახლანდელ ისტორიულ პირობებში ამის ნებისმიერი ალტერნატივა გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს გარდაქმნას სოციალიზმის ფარგლებში.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თვითონ გაბედულად მოითხოვა მტკიცე გამიჯვნა პიროვნების კულტისა და უძრაობის პერიოდის დეფორმაციებისაგან. თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზეც, რომ მრავალპარტიულობის იდეებით შეიძლება უწინარესად ისარგებლონ ყოველგვარი ჯურის ნაციონალისტურმა და დოგმატიკურმა ელემენტებმა. ეს კი საშინელ ლახვარს ჩასცემდა გარდაქმნას.

მაგრამ როგორ გავაკეთოთ ისე, რომ ერთპარტიული სისტემა ჩვენში უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებდეს, როგორ გამოვავლინოთ და განვავითაროთ მისი დემოკრატიული შესაძლებლობანი? ასეთი საკითხები ებმიანება იმ საკითხებს, რომლებიც აწუხებდა ლენინს მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი შეეხო მიღებული გადაწყვეტილებების — ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების დემოკრატიზაციას. ქვეყანაში, თქვა მან, უკვე ნორმად იქცა დისკუსიები ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. აქ ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა თვალსაზრისი და იდეა. მათი ლოგიკური განგრძობა, შემდეგი საფეხური უნდა იყოს სხვადასხვა ვარიანტის, ალტერნატივის ჩამოყალიბება. მრავალი ვარიანტიდან შერჩევის შესაძლებლობა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების დაძლევის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

უფრო მეტიც, როცა არჩევანი არ არის, გასაქანი ეძლევა არასაკმარისად გააზრებულ გადაწყვეტილებებს. საგულისხმოა ასეთი მაგალითი: რა რეაგირება მოვახდინეთ ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების ამა თუ იმ ნაბიჯზე ჩვენთვის გამალებული შეიარაღების თავს მოსახვევად. სხვადასხვა ალტერნატივის, თვალსაზრისის შეუპირისპირებლად განა შეიძლებოდა წარსულში თავიდან აგვეცილებინა შეცდომები?

შეეხო რა უკანასკნელი წლების გამოცდილებას, ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, გამოუყენებელ რეზერვებს გარდაქმნის გზაზე, ორატორმა ახსენა დადგენილება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩანაფიქრი კარგი იყო. მაგრამ როგორ ხორციელდებოდა გადაწყვეტილება? უწინდელი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით. შესაძლო შედეგების მეცნიერული პროგნოზირების გარეშე და — ამის გამო — სხვადასხვა ვარიანტის დაუმუშავებლად, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა საიმედოდ უნდა აღეკვეთათ სმა მუშაობის დროს, ამოეღოთ იგი პარტიული და სამეურნეო ეტიკეტიდან. [illegible] თუმცა კი მივაღწიეთ ერთგვარ დადებით შედეგებს, მაგრამ ბევრი რამ დავკარგეთ. ობიექტურად ირყევა ალკოჰოლური სასმელების წარმოებაზე სახელმწიფოს მონოპოლია. გაჩნდა შაქრის დეფიციტი. ლოთობაც არცთუ ისე ძალიან შემცირდა, გაიზარდა ტოქსიკომანია. დიდია პოლიტიკური დანაკარგები.

ამრიგად შეაჯამა დელეგატმა, ჩვენი გარდაქმნის პრაქტიკა სვამს საკითხს: თუკი სრულიად მკაფიოდ ვლინდება მიღებულ გადაწყვეტილებათა ნაკლოვანებანი, რატომ მაშინვე რადიკალურად არ უნდა გამოვასწოროთ ისინი? მით უმეტეს, რომ არის ცალკეული ამგვარი დადებითი მაგალითები. მხედველობაში მაქვს უკვე დაწყებული მუშაობა კოოპერატივებისა და კოოპერატორების გადასახადით დაბეგვრის შესახებ ბრძანებულების გადასინჯვისათვის.

გამოსვლაში აღიძრა საკითხი გარდაქმნის ძირითადი ამოცანათა განხორციელებაში ეტაპობრიობის მეცნიერული დამუშავების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია. კერძოდ, დელეგატმა წინადადება წამოაყენა პრაქტიკაში შემოვიღოთ მთელ ქვეყანაში ეროვნული კადრების როტაცია.

თავმჯდომარე **მ. ს. სოლომენცევი** სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ს. კ. გროსუს**. პარტია, თქვა მან, გამოვიდა საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი რევოლუციური განახლების ინიციატორად. მან კოლექტიურად შეიმუშავა გარდაქმნის გენერალური გეზი, მეცნიერულად დაასაბუთა მისი სტრატეგია და ტაქტიკა, ახლა კი განუხრელად და თანამიმდევრულად ახორციელებს მათ. გარდაქმნა სულ უფრო ღრმად იკიდებს ფესვებს ჩვენს ცხოვრებაში, ახდენს დადებითს, გარდამქმნელ ზემოქმედებას.

რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის დელეგატები სავსებით უჭერენ მხარს გარდაქმნისა და დაჩქარების, საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციისა და განახლების კურსს, რომელსაც პარტია ადგას. დარწმუნებული ვართ, რომ სკკპ კონფერენცია ნამდვილად გადამწყვეტი იქნება, გაამართლებს საბჭოთა ადამიანების იმედებსა და მისწრაფებებს.

მოლდავეთისათვის გვერდი არ აუვლია უძრაობას, მეურნეობრიობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებს, მოჩვენებითობასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. რესპუბლიკის კომუნისტებმა პარტიული ვაჟკაცობა გამოიჩინეს და აშკარად აღიარეს, რომ პასუხს აგებენ დაშვებული შეცდომებისათვის, და მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით მტკიცე ბრძოლა გამოუცხადეს ნაკლოვანებებს. მკაცრი შეფასება მიეცა ბევრი პარტიული კომიტეტის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, ხელმძღვანელი კადრების საქმიანობას. ერთიანი ფრონტით მიმდინარე უკომპრომისო ბრძოლამ ხელი შეუწყო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, წინსვლას. მაგრამ გარდაქმნა ჯერჯერობით ისე შედეგიანად არ მიმდინარეობს, როგორც დასახული იყო. თავს იჩენს ინერცია, წარსულის რეციდივები. ყველაფერი არ გაკეთებულა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის.

ორატორი შეეხო მოლდავეთის აგრარულ-სამრეწველო სექტორის პრობლემებს, აღნიშნა, რომ ამ პრობლემების გადაჭრაში ცენტრალური ადგილი განეკუთვნება მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლას. ამასთან დაკავშირებით მან წინადადება წამოაყენა გადაიყვანონ 1990 წლიდან რესპუბლიკა ფასწარმოქმნის ახალ წესზე, ხოლო შემდეგ გადავიდნენ რეგიონის თვითდაფინანსებაზე.

ჩვენი სოციალისტური წყობილების საფუძვლების რადიკალური გარდაქმნა, აღნიშნა ორატორმა, მოითხოვს ახალ მიდგომებს ხელისუფლების რეალიზაციის კონცეფციისადმი. ხელისუფლების საკითხი გარდაქმნის მთავარი საკითხია. მისი უმაგალითო სიმწვავე და მნიშვნელობა თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს გამოვლინდა. დელეგატმა შემდეგ გააანალიზა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის შესაძლო გზები, მხარი დაუჭირა მოხსენებაში წამოყენებულ საბჭოების რეფორმის კონცეფციას. პოლიტიკური სისტემის დიდი რეფორმა მნიშვნელოვნად აქტიურებს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. გამოსვლაში გაკრიტიკებულია იმის ცდები, რომ დააკნინონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი საზოგადოებაში, დააქვეითონ მუშათა კლასის, როგორც განახლების მთავარი სოციალური ძალის როლი. გარდაქმნაში პარტიის ისტორიული თანაშემწენი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, მშრომელთა ფართო მასები.

მომწიფდა აგრეთვე იმის საჭიროება, რომ კვლავინდებურად განვითარდეს საბჭოთა ფედერაცია. ამის საფუძველია ყველა ერისა და ეროვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებათა განუხრელი შესრულება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს რესპუბლიკებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემებს, გადაიჭრას ისინი დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების გზით. უნდა გამოვიჩინოთ მეტი წინდახედულობა, პასუხისმგებლობა, თავი მოვუყაროთ შემოქმედებითს ძალებს სამომავლოდ.

პარტიის ავანგარდული როლის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრის გასაღებია საჯაროობის, დემოკრატიის, კონსტრუქციული კრიტიკის შემდგომი განვითარება. პარტიის ნება და ხალხის ენთუზიაზმი უზრუნველყოფს სანუკვარი ოცნების მიღწევას: გარდაქმნის შეუქცევადობასა და სრულ გამარჯვებას. საჭიროა კონკრეტული საქმენი.

შემდეგ სიტყვა ითხოვა მოსკოვის სპეციალურ შენადნობთა დასამუშავებელი ქარხნის მუშამ **ი. ფ. სურკოვმა**. ჩვენი კონფერენციის მუშაობისათვის დრო ცოტა დარჩა, თქვა მან. და მე ადგილს ვერ ვპოულობ, როცა ვხედავ, როგორ ფლანგავს ამ დროს ზოგიერთი მომხსენებელი. (ტაში). მინდა ჩვენი პარტიული ხელმძღვანელების ყურადღება მივაპყრო იმას, რომ პარტიული კომიტეტების პირველი მდივნების მოხსენებებში, უცნაურია, მაგრამ გაისმის შაბლონური მიდგომა. რატომ ხდება ასე? ჩემი აზრით, ჩვენში ცუდად მიმდინარეობს მუშაობა პარტიაში სწორედ ლიდერთა აღზრდისათვის. ეს იგრძნობა.

მე გამოსვლა არა მაქვს, თქვა მუშამ. მე ატმოსფერო მაღიზიანებს. მომდევნო ორატორებს ვთხოვ აღარ გაიმეორონ ის, რაც კონფერენციაზე უკვე ითქვა. აქ ჩინებული მაგალითი იყო მეტალურგი მუშის გამოსვლა (ტაში). თავმჯდომარე ყველა ორატორს სთხოვს გაითვალისწინონ მუშის შენიშვნა.

ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის შეჩერება შესაძლებლობას მაძლევს არ დავეთანხმო კონფერენციაზე გამოთქმულ აზრს, რომ ეკონომიკამ ვერ დააღწია თავი უძრაობას, განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ქ. მ. მახკამოვმა**. შემდეგ იგი შეეხო რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას. სოციალური პოლიტიკის დარგში, აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე სამეურნეო რეფორმის შედეგები ჯერ კიდევ არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის დებულებებს, თქვა მან. ამის ერთ-ერთი მიზეზია დასახული პროგრამების არათანამიმდევრულობა, ეტაპობრიობის დარღვევა. სერიოზული, აღმშენებლობითი მუშაობის განწყობა მეორე პლანზე დარჩა. თავი იჩინა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა გარკვეულმა ხარვეზებმა. არ არის მოგვარებული სამეურნეო მექანიზმის მთელი რიგი ელემენტები, კაპიტალური მშენებლობის დარგში გეგმების შეწონასწორება მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ჯერ კიდევ მოქმედებს მრავალი ინსტრუქცია, რომლებიც გზას უხშობენ სამეურნეო ანგარიშს. რეფორმა დაიწყო, როცა გეგმები უკვე დამტკიცებული იყო, მაგრამ ეს ვერ გაამართლებს კონსერვატიზმსა და ინერციას.

სიტყვისა და საქმის ერთიანობას მოელიან ჩვენგან ადამიანები, ხაზი გაუსვა ორატორმა. სიტყვისა და საქმის სხვაობა გარდაქმნისადმი ადამიანთა ნდობის დაკარგვას გვიქადის. ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციას ხელს შეუწყობდა ფასწარმოქმნის კონცეფციის ფართო განხილვა. ადგილებზე სამეურნეო მუშაობის მარეგლამენტებელი დოკუმენტების შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი პირობების სპეციფიკაც. უფრო მეტად უნდა ვენდობოდეთ რეგიონებს, ვაძლევდეთ მათ საშუალებას თავად გადაწყვიტონ, რამდენი მიწაა, მაგალითად, სარეკონსტრუქციო და რამდენი — ახლად ასამოქმედებელი.

(გაგრძელება მე-4 გვ.).

რევოლუციურ განახლებას — შეუქცევადი ხასიათი

(გაგრძელება)

სერიოზულად აბრკოლებს გარდაქმნას უამრავი უმაქნისი თათბირებიც. ორატორმა დაასახელა ფაქტები. მარტო შარშან და მიმდინარე წლის ხუთ თვეში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა დედაქალაქის მივლინებებში თითქმის მთელი წელიწადი გაატარეს: მინისტრებმა — ცხრაასი დღე, ხოლო მათმა მოადგილეებმა — მთელი ხუთწლედები. მოდით, დავანებოთ თავი დროისა და ფულის ფლანგვას, განვტვირთოთ, ბოლოს-და ბოლოს, ტრანსპორტი, მოუწოდა ორატორმა. მით უმეტეს, რომ კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებს სავსებით შეუძლიათ უზრუნველყონ საქმიანი ურთიერთობა.

გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების საკითხს. მათი წარმატებული საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ უძღვება გარდაქმნის ამ დიდმნიშვნელოვან რგოლებს. დელეგატმა წინადადება წამოაყენა გაიზარდოს განთავისუფლებული მდივნების რაოდენობა, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული მთელი საწარმოს მუშათა რაოდენობა, და არა პარტიული ორგანიზაციის წევრთა რიცხვი. სწორი იქნებოდა, თქვა მან, შემოგვეღო პრაქტიკაში გაუთავისუფლებელი მდივნებისათვის რამდენიმე თავისუფალი დღის მიცემა. აი ეს იქნებოდა პარტიული მუშაკებისათვის რეალური მზრუნველობის გამოვლენა.

შეეხო რა იდეოლოგიური კადრების აღზრდის პრობლემას, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო გულდასმით შევისწავლოთ ლენინური მემკვიდრეობა, უფრო სრულად გამოვიყენოთ იგი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვისწავლოთ საკადრისი პასუხის გაცემა დემაგოგებისათვის, რომლებიც სამართლიანობის ქომაგ მებრძოლთა ნიღაბს ეფარებიან, მან ილაპარაკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლზე, საჯაროობისა და პრესის შესახებ კანონების მიღების დიდ მნიშვნელობაზე.

გამოსვლაში აისახა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხიც. ჩვენ აქ ვერაფერს ვერ გავხდებით, თუ მთის ქედების გაღმა-გამოღმა გულხელდაკრეფილი ვისხდებით, ხაზგასმით აღნიშნა ტაჯიკეთის ხელმძღვანელმა, რომელიც შუა აზიის რესპუბლიკების ურთიერთობას გულისხმობდა. მხოლოდ მჭიდრო თანამოქმედება, ყველა რთული პრობლემის ერთობლივი გადაჭრა დააყენებს საშველს საქმეს. ასეთი მუშაობის კარგი მაგალითები უკვე გვაქვს — უკანასკნელი თვეების მანძილზე გაიმართა ბევრი არასაოქმო შეხვედრა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დონეზე. ჯერჯერობით სრულად არ გამოიყენება ტელევიზიის დიდი შესაძლებლობანი, არადა, ურიგო არ იქნებოდა, შეგვექმნა ახალი გადაცემა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური".

მთელი ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის მშრომელები, თქვა დასასრულ დელეგატმა, უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებენ თვალს კონფერენციის მიმდინარეობას. და ჩვენ მოვალენი ვართ გავუმართლოთ მათ იმედები, განვუმტკიცოთ გარდაქმნის რწმენა.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ხოლმე სიტყვა „გადამწყვეტს", ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ა. იაგოდინმა.** და ეს ძალზე ტევადი განსაზღვრაა, იმიტომ რომ კონფერენციაზე ნამდვილად წყდება ქვეყნის ბედი როგორც შინაარსის, ისე ღონისძიებებისა და მოქმედების მიხედვით.

სახალხო განათლებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნისა და პარტიის წინაშე. ამიტომ საქმიანობის ამ სფეროს გარდაქმნის საკითხები ყრილობისშემდგომი მუშაობის ყურადღების ცენტრში იყო. გაიმართა ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმი, რომელმაც განსაზღვრა კონკრეტული ამოცანები. ახლა ზოგი რამ უკვე გაკეთებულია. მაგრამ იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, — ეს წვეთია ზღვაში. თვალდ განსაჯეთ. ქვეყნის ნახევარ სკოლებს არა აქვთ ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, კანალიზაცია. მოსწავლეთა მეთხედი ორ ცვლად მეცადინეობს სკოლაში, ნაწილი კი სამ ცვლად. მილიონ-ნახევარ ბავშვს არა აქვს შესაძლებლობა იაროს საბავშვო ბაღში. ათი ათას მცხოვრებზე სტუდენტთა რიცხვის მიხედვით სულ რაღაც ათი წლის წინ მეცხრე ადგილზე ვიყავით, ახლა 23-მდე ჩამოვქვეითდით. ეს ძველი უბედურებაა.

მაგრამ არც დღევანდელი გაჭირვება გვაკლია, რაც არ გვაძლევს საშუალებას დაუყოვნებლივ გავაკეთოთ ყველაფერი, განაგრძო ორატორმა. ჩვენ ძალზე დაძაბული ბიუჯეტი გვაქვს. მძიმე ტვირთი დაასვა განათლებას მმართველობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების სუფევამ, ინტელექტუალური შრომის როლის დაუფასებლობამ, ფორმალიზმმა, პროცენტომანიამ, სწავლებისა და აღზრდის ავტორიტარულმა მეთოდებმა.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო სახალხო განათლების პრაქტიკაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს. ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანი. ძალზე ხშირად ამ მიზნად უმაღლესი სასწავლებელი ესმით ხოლმე. ეს არ არის სწორი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ახალგაზრდას უნდა ამზადებდეს თანამედროვე საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, აძლევდეს პროფესიას, უნერგავდეს მუდმივ მისწრაფებას გაიღრმაოს ცოდნა და უნარი, მათ შორის, უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ეს სულაც არ არის სავალდებულო, მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში.

ახლა სკოლაში სწავლება დაძაბულად მიმდინარეობს. სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დაასახელა რამდენიმე მიდგომა ამ ამოცანის გადაწყვეტისადმი. მან წინადადება წამოაყენა დავიწყოთ სწავლება ექვსი ან შვიდი წლის ასაკიდან. სამი ან ოთხი წელი დაწყებითი სკოლის პირველი საფეხურია, ვინაიდან ბავშვის ფიზიკური განვითარება არ არის ერთი ტიპისა. ექვსი წლისა შეიძლება რვა წლის ბავშვის დონეზე იყოს, მაგრამ შესაძლოა, შვიდი წლისა, სამწუხაროდ, დონით ოთხი წლის ბავშვისაგან არ გამოირჩეოდეს. დაწყებითი სკოლიდან მომდევნო საფეხურზე გადაყვანის პირობაა აბსოლუტური ცოდნა. თუ იგი არ იქნა, საჭიროა ხელახალი სწავლება პირველ საფეხურზე. მეორე საფეხურზე ბავშვს უნდა ჩავუნერგოთ პროფესიონალიზმი, საძირკველი ყველა საგანში.

მაგრამ ამოცანა ის არის, რომ არ „დაუკარგოთ სახე". იმათ, ვისაც არ ეხერხება ზუსტ მეცნიერებათა შესწავლა, ოდნავ უნდა შევუმციროთ ეს შინაარსი და ამის ნაცვლად გავუდიდოთ იმის შინაარსი, რასაც წინათ ეწოდებოდა „დურგლის ხელოვნება", „ხუროს ხელოვნება" და ა. შ. ამოცანაა არ დავკარგოთ კაცი, არ გადავაქციოთ იგი „მეორე ხარისხად" და შემდეგ ეს „მეორე ხარისხი" გადავისროლოთ მუშათა კლასში. და, ბოლოს, სკოლის მესამე საფეხური მნიშვნელოვნად უნდა შევამსუბუქოთ, გადავაქციოთ არჩევანის მიხედვით სკოლად. 11 საგნის ნაცვლად უნდა დავტოვოთ ხუთი ან ექვსი საგანი, ისიც — არჩევანით. რა უშავს, რომ იქნება სხვადასხვაგვარი ატესტატები, სხვადასხვაგვარი ცოდნა — იგი დღესაც განსხვავებული აქვთ. საჭიროა, ატესტატის მფლობელს ჰქონდეს ერთი იურიდიული უფლება. ჩააბარე მისაღები გამოცდები და არავითარი პრობლემა არ გექნება.

შეეხო რა პროფესიულ-ტექნიკური სწავლების პრობლემებს, ორატორმა თქვა, რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში არ შეიძლება იგზავნებოდეს პედაგოგიური წუნი, ეს უზნეობაა. და იგი ძირში უნდა აღიკვეთოს. ასევე ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება განათლების იმ ნაწილისადმი, რომელიც ემოციებზე გადის. ცხოვრებაში ბედნიერება ხომ ძალზე მცირედ არის დამოკიდებული იმაზე, იცის თუ არა კაცმა კვადრატული ამოფესვა. აი, ადამიანის ბედნიერება კი კოლოსალურად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გრძნობს იგი თვით ცხოვრებას, როგორ აღიქვამს მას, ახლა ეს მუშაობა სკოლებში უხეიროდ არის დაყენებული და ლიტერატურის შესწავლაც კი ამ მხრივ სერიოზულ კორექტივებს მოითხოვს.

რამდენიმე წლის წინ კარგი საქმე მოვინდომეთ და შეცდომა კი გამოგვივიდა. შემოვიღეთ უფასო სახელმძღვანელო სკოლაში, რის შედეგადაც ოჯახში გავაქრეთ იგი. არადა, ბავშვს შინ ჰაერივით სჭირდება სახელმძღვანელო, იმიტომ, რომ ნიადაგ უნდა დაუბრუნდეს ხოლმე მას. ორატორმა შემოიტანა წინადადება, რომ ქვეყნის გამომცემლობები დაგვეხმარონ და უზრუნველყონ საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოების ბეჭდვა.

ჩვენი კონფერენციისადმი უდიდესი ინტერესი კანონზომიერია, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. მ. ვოლოდინმა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ატმოსფერომ დასაბამი დაუდო სასიკეთო გარდატეხას საზოგადოების ცხოვრებაში, ჩაგვისახა იმედი, რომელიც გადაიზარდა რწმენად, რომ ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს, თუკი საქმეს სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს ჩვენი პარტია და მთელი ჩვენი ხალხი. ჩვენ მოგვეცა განაწესი — ვაწარმოოთ გარდაქმნა მთელი სიღრმე-სიგანით. და ვცდილობთ ვაკეთოთ ეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვის პროცესში, თქვა ორატორმა, წინანდელზე გაცილებით უფრო ხშირად ვაყენებდით საკითხს პარტიის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, და, უწინარეს ყოვლისა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სრულყოფის შესახებ. კონფერენციის დამდეგს ჩვენ გავმართეთ შეხვედრა შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებთან. შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ეს თვითმმართველობის ორგანოები შეეფერებიან დროების სულისკვეთებას, რეალურ გავლენას ახდენენ შრომითი კოლექტივებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან მათი ურთიერთობის მექანიზმი. უკონტაქტობის, ინტერესების ერთიანობის გაუგებრობის მაგალითები უკვე გვაქვს. გამოითქვა წინადადებანი, რომ ეს თვითმმართველობის ორგანოები დავუქვემდებაროთ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, განსაკუთრებით ტერიტორიათა სოციალური განვითარების მხრივ.

შემდეგ ორატორი შეეხო პარტიული ორგანოების სტრუქტურის სრულყოფის საკითხებს. ამჟამად არჩევითი პარტიული ორგანოების ჩამოყალიბებისას, დაზუსტა მან, სულ უფრო აქტიურდება დემოკრატიზაციის პროცესი, მეტია საჯაროობა. არჩევნები პარტიული ცხოვრების ნორმა ხდება. ამასთანავე დემოკრატიული საწყისები არჩევითი ორგანოების აპარატის ფორმირებაში სულ ოდნავ შეიმჩნევა. საჭიროა შევიმუშაოთ დებულებები, რომლებიც არეგლამენტებენ მის საქმიანობას, დაკომპლექტების წესს, უფრო ზუსტად განსაზღვრავენ მის პასუხისმგებლობას არჩევითი ორგანოს წინაშე. ბევრმა კომუნისტმა, განაცხადა ორატორმა, გამოთქვა წინადადებები, რომ პარტიული კომიტეტის აპარატში მუშაკები უნდა გაიგზავნონ მხოლოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. იყო სურვილები, დაგვეკანონებინა აპარატში ყოფნის ვადის შეზღუდვა იმ დროის ფარგლებში, რაც არჩევითი ორგანოების მუშაკებისათვის არის განსაზღვრული. გამოგვდის პარადოქსი: არჩევითი ორგანო იცვლება, ხოლო მისი მუშაობის სტილი და მეთოდები ძველებური რჩება, ვინაიდან აპარატი ურჩევს, ზოგჯერ კი უბრალოდ უკარნახებს არჩევითი ორგანოს როგორ მოიქცეს იგი ამა თუ იმ სიტუაციაში.

ბ. მ. ვოლოდინმა მხარი დაუჭირა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენების იმ დებულებას, რომ ახალი ძალების მუდმივი შემომატების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ ყრილობებს შუა პერიოდში ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის ნაწილობრივ განახლების შესაძლებლობა, და კონფერენციას მიმართა წინადადებით ნება დართოს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ასევე მოიქცნენ.

ორატორმა მხარი დაუჭირა მოხსენების იმ დებულებას, რომ ხელისუფლების ორგანოებში, სასოფლო და სადაბო ორგანოების გარდა, აირჩიონ მუდმივმოქმედი საბჭოების პრეზიდიუმები, აგრეთვე საბჭოების თავმჯდომარეები. მან სწორად მიიჩნია, რომ ამ თანამდებობებზე რეკომენდაცია მიეცეთ პირველ მდივნებს — რაიკომებიდან ცენტრალურ კომიტეტამდე.

მისცა რა შეფასება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობას, პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მოიყვანა იმის მაგალითი, თუ რა განურჩევლობას იჩენენ პუბლიკაციათა ავტორების შერჩევაში. ჟურნალ „ოგონიოკის" პირველ და მეორე ნომრებში ვინმე სოიფერი ამათრახებს ლისენკოვშჩინას, ჟურნალის მეთორმეტე ნომერში კი გვაცნობს თვით ამ სტატიის ავტორს: თურმე, იგი უკვე მზად არის რჩევა-დარიგება მოგვცეს საზღვარგარეთიდან, სადაც იგი გაიქცა, მიატოვა სამშობლო, თუ როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ შემთხვევასა და სიტუაციაში. ჟურნალი კი როგორ იქცევა? მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემაა აღძრული, მაგრამ ნუთუ ქვეყანაში არ მოიძებნა არც ერთი ავტორი, რომელიც ამ პრობლემას დააყენებდა იმავე ჟურნალ „ოგონიოკში"?

კონფერენციამ უნდა მიიღოს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი, აღნიშნა ორატორმა დასასრულ. ზოგმა მათგანმა შეიძლება საჭირო გახადოს სკკპ წესდების და სსრ კავშირის კონსტიტუციის დაზუსტება. ორატორმა საჭიროდ ჩათვალა მიეცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება — მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ახლა მოითხოვს საქმე და გარდაქმნა, განსაკუთრებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის საკითხებში.

შემდეგ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი, დელეგატი **ბ. ნ. ელცინი,** რომელმაც მთელი რიგი დელეგაციების მოთხოვნით დაწვრილებით უპასუხა კითხვებზე უცხოეთის ტელეკომპანიებისადმი თავის ინტერვიუსთან დაკავშირებით. ორატორმა განაცხადა, რომ კარგა ხნით ადრე, სანამ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მიმართავდნენ, მან ინტერვიუ მისცა ახალი ამბების სააგენტოსა და ჟურნალ „ოგონიოკის" წარმომადგენლებს, მაგრამ ეს მასალები არ გამოქვეყნებულა.

შემდეგ ორატორმა განაცხადა, რომ ამერიკის სი-ბი-ესის ტელეკომპანიამ დაამახინჯა ინტერვიუს ტექსტი. ამის გამო კომპანიამ ავტორს ოფიციალურად მოუბოდიშა.

დელეგატთა მიერ დასმული მთელი რიგი კითხვები ეხებოდა ბ. ნ. ელცინის გამოსვლას სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე. როგორც თავად ორატორმა თქვა, მისი გაუგებარი ლაპარაკი გამოსვლისას მძიმე ავადმყოფობით აიხსნებოდა,

თვით კონფერენციის მზადების პერიოდმა, თქვა შემდეგ ბ. ნ. ელცინმა, გამოიწვია კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის უჩვეულო ინტერესი და იმედები. გარდაქმნამ შეანჯღრია ხალხი.

მაგრამ, ორატორის აზრით, კონფერენციის სამზადისი ფაცაფუცით მიმდინარეობდა, ცენტრალური კომიტეტის თეზისები გვიან გამოქვეყნდა. მათს შემუშავებაში ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობაც კი არ ჩააბეს ფართოდ. დელეგატთა არჩევნები, როგორც ორატორს მიაჩნია, მთელ რიგ ორგანიზაციებში ძველი თარგით მოეწყო.

მაგრამ თვით კონფერენციაზე, თქვა მან, განხილვა საინტერესოდ მიმდინარეობს. ეს მიღებულ გადაწყვეტილებებსაც დაეტყობა.

შემდეგ დელეგატმა გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა და წინადადება ცენტრალური კომიტეტის თეზისებთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გათვალისწინებით. მისი აზრით, მთავარია პარტიასა და საზოგადოებაში შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავდა წარსულის შეცდომების გამეორებას, მთელი ათწლეულებით რომ უკუაგდეს ქვეყანა, შექმნიდა ნამდვილ სახალხო ხელისუფლებას და მის მტკიცე გარანტიებს.

გამოითქვა წინადადებანი, რომლებიც ეხებოდა პარტიული კომიტეტებისა და საბჭოების ხელმძღვანელთა ფუნქციების შეთავსებას, საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციას პარტიასა და სახელმწიფოში. ბევრი მათგანი ემთხვევა წინადადებებს, რომლებიც აქამდე გამოთქვეს დისკუსიების სხვა მონაწილეებმა.

ჩვენი პარტია, მთლიანად საზოგადოება უკვე საკმაოდ მომწიფებული არიან საიმისოდ, რომ მათ ანდო დამოუკიდებლად გადაწყვიტონ უმნიშვნელოვანესი საკითხები, გარდაქმნა ამით მხოლოდ მოიგებდა, განაცხადა ორატორმა. შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამასწინანდელი წარსულის უძრაობის მოვლენებში მარტოოდენ ლ. ი. ბრეჟნევს როდი მიუძღვის ბრალი. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები ცენტრალური კომიტეტის აპარატის მიმართ, რომელმაც ვერ შეძლო დროზე გარდატეხა ბევრი უარყოფითი ტენდენცია პარტიის, საზოგადოების ცხოვრებაში. დაისვა საკითხი იმ ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებსაც, ორატორის აზრით, ბრალი მიუძღვით ამაში.

დელეგატს მიაჩნია, რომ დემოკრატიზაცია და საჯაროობა გარანტიაა იმისა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება. ჩვენი კონფერენცია, განაცხადა მან, კაცმა რომ თქვას, პირველი გამონაკლისია, როდესაც კომუნისტები გაუკრიტიკებელს არ ტოვებენ არც ერთ „ზონას". დელეგატი დაეთანხმა მოხსენებაში ჩამოყალიბებულ წინადადებას, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობისაგან შეიქმნას რეგიონული კომისიები, რომელთა მონაწილეობისა და თანხმობის მიუღებლად ვერ გამოვა პარტიის ვერც ერთი პრინციპული დადგენილება. გარდაქმნა, დელეგატის შეფასებით, ჯერჯერობით დიდი გაჭირვებით მიმდინარეობს. მაშასადამე, ყოველი ჩვენგანი არ ირჯება საკმარისად, არ იბრძვის საკმარისად გარდაქმნისათვის.

პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხმა უნდა იცოდეს ყველაფერი, რასაც იგი აკეთებს. ამასთან დაკავშირებით დელეგატმა წამოაყენა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს, მათ შორის, ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის მეტ კარგახსნილობას.

ისევე როგორც ბევრმა სხვა ორატორმა, ბ. ნ. ელცინმაც დააყენა სოციალური სამართლიანობის პრობლემები. აღნიშნა, რომ ჩვენში ისინი ძირითადად გადაჭრილია. მაგრამ დარჩა ზოგიერთი საკითხი, რომლებიც არ გადაწყვეტილა, და ეს, ორატორის აზრით, დაბლა სცემს პარტიის ავტორიტეტს ხალხში.

შემდეგ დელეგატმა გამოთქვა თავისი თვალსაზრისი პარტიული აპარატის შემცირების, საბჭოების განმტკიცების მეთოდიკასა და მასშტაბზე. მან შემოიტანა წინადადება მიღებულ იქნეს ცალკე რეზოლუცია ახალგაზრდობის შესახებ.

ბ. ნ. ელცინმა კონფერენციას მიმართა თხოვნით, როგორც მან თქვა, მისი პოლიტიკური რეაბილიტაციის შესახებ. მიმაჩნია, განაცხადა მან, რომ ეს პრინციპული საკითხია, და შეეფერება მოხსენებასა და გამოსვლებში გამოცხადებულ აზრთა სოციალისტურ პლურალიზმს, კრიტიკის თავისუფლებას, ოპონენტის მიმართ შემწყნარებლობას.

თქვენ იცით, განაგრძო მან, რომ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ოქტომბრის პლენუმზე ჩემი გამოსვლა პლენუმის გადაწყვეტილებით პოლიტიკურად მცდარ გამოსვლად არის მიჩნეული. მე კი ჩემს ერთადერთ შეცდომად ვთვლი იმას, რომ გამოვედი უდროო დროს, ოქტომბრის 70 წლისთავის წინ. მე მწვავედ განვიცდი მომხდარს და ვთხოვ კონფერენციას გააუქმოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება ამ საკითხზე. თუ ამას შესაძლებლად მიიჩნევთ, მაშინ თქვენ გამამართლებთ მე კომუნისტთა თვალში.

სხდომის თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** სიტყვა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **გ. ი. უსმანოვს.** მე აქ გამოვდივარ არა მარტო როგორც ჩემი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი, თქვა ორატორმა, არამედ აგრეთვე როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მინდა შევეხო ბ. ნ. ელცინის გამოსვლაში აღძრულ საკითხებს. ჩემი აზრით, მან მთლიანად ჩაამონტაჟა თავის დღევანდელ გამოსვლაში ტექსტი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქვა. რაც შეეხება არჩევნების დემოკრატიულობას, ეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე განვიხილეთ. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და ხმა მისცა ბორის ნიკოლოზის ძემ. ახლა კი ამბობს, დელეგატთა არჩევნები არასაკმარისი დემოკრატიის პირობებში გაიმართაო. აქ მსხდომთაგან ყოველი კაცი დამეთანხმება, განაცხადა ორატორმა, რომ ასეთი დემოკრატიული არჩევნები ჩვენ ჯერ კიდევ არასოდეს არ გვქონია.

რაც შეეხება ამხანაგ ელცინის პოლიტიკურ რეაბილიტაციას, აქ ესწრება ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი, რომლებიც ოქტომბრის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ. დღეს ბორის ნიკოლოზის ძემ თქვა, რომ მას მოუვიდა ერთადერთი შეცდომა — გამოვიდა უდროო დროს. მაგრამ მართლა ასეა? ვფიქრობ, დრო შემთხვევით არ შეურჩევია. იგი არა მარტო გამოვიდა, არამედ განაცხადა კიდეც, რომ არ ეთანხმება მუშაობის ტემპს, რომელსაც პარტია ეწევა გარდასაქმნელად, და გადადგომა ითხოვა.

კომუნისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება ამ საკითხზე. და ჩვენ არ გვაქვს საფუძველი არ ვენდოთ ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციას, როგორიც მოსკოვისაა. თანაც, აქეთ-იქით რომ ურიგებდა ინტერვიუებს უცხოეთის სააგენტოებს, იგი მხოლოდ თავისი ავტორიტეტისათვის ზრუნავდა. მთელი ეს ფაქტები არ აძლევს საფუძველს ჩვენს დელეგაციას, რომლის სახელითაც გამოვდივარ, მხარი დაუჭიროს მის თხოვნას პოლიტიკური რეაბილიტაციის შესახებ. ჩვენ, კომუნისტებს, გვაქვს ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა — ყოველნაირად განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის ერთიანობა და შეკავშირება.

ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ს. ა. შალაევი.** თავის გამოსვლაში მან ძირითადი ყურადღება დაუთმო ქვეყნის პროფესიული კავშირების დამოკიდებულებას კონფერენციაზე განსახილველი საკითხებისადმი, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები უწოდა.

ორატორმა განაცხადა, რომ პროფკავშირები, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენენ, მარტოოდენ მხარს კი არ უჭერენ მიღებულ ღონისძიებებს, არამედ ხედავენ კიდეც ამ პროცესში თავიანთ ადგილს, კონკრეტულ ამოცანებს, მზარდ პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ გარდაქმნის აქტიური მონაწილე გახდეს ყველა მშრომელი. მან სერიოზული მხარდაჭერა უწოდა მოხსენებაში გამოთქმულ წინადადებებს პროფკავშირების როლის ამაღლების, საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში მათი უშუალო წარმომადგენლობის შესახებ, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის იმ ზოგიერთი ფუნქციის გადაცემის შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ.

განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მოხსენების დებულებებს, რომლებიც ძლიერ სოციალურ პოლიტიკას განსაზღვრავენ პარტიის შემდგომი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად, ხაზი გაუსვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ. შეეხო რა ეკონომიკურ რეფორმას, რომლის წარმატებით განხორციელებაზეც ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ორატორმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ეკონომიკის ორიენტაციის ძირეულ შეცვლას და წარმართვას სოციალური საკითხების გადასაწყვეტად. და ეს უნდა დავიწყოთ უკვე მისი განვითარების დაგეგმვით, იმიტომ რომ აქ პროფკავშირთა ხელმძღვანელის აზრით, დღესდღეობით ჩაქსოვილია არასწორი პრინციპი, უწინარეს ყოვლისა, სოციალური განვითარებისათვის ნარჩენების გამოყოფის პრინციპი.

ორატორმა დაასახელა ამ დასკვნის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები. მაგრამ ახლა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შორეული პერსპექტივის კონცეფციის განხილვის დროსაც კვლავ გვთავაზობენ შევამციროთ მოხმარების ფონდის წილი. ამასთანავე ქვეყანაში არის შესაძლებლობაც და უმწვავესი აუცილებლობაც ეროვნული შემოსავლის მატების უფრო სწრაფი ტემპის უზრუნველყოფასთან ერთად მტკიცედ გადავისინჯოთ მისი სტრუქტურა იმ წილის გასადიდებლად, რომელიც მოხმარებისათვის გამოიყენება, სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხარჯების გასაზრდელად. ორატორმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, რომ ეს სავსებით შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. საჭიროა სოციალური პოლიტიკა ნამდვილად ძლიერ პოლიტიკად ვაქციოთ.

ორატორმა სერიოზულად გააკრიტიკა მოხმარების საგნების წარმოებაში არსებული ჩამორჩენა. მისი ლიკვიდაციისათვის საჭიროა შევცვალოთ ამ საქმისადმი დამოკიდებულება, ვაქნევინოთ პირი მთელ ჩვენ სამრეწველო წარმოებას სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, გამოვიყენოთ ამ მიზნით სრული მასშტაბით ეკონომიკური ურთიერთობა, სტიმულები, გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობანი, კოოპერაცია, სხვა რეზერვები.

შეეხო რა ფასწარმოქმნის რეფორმის საკითხს, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფორმა საგონებელში აგდებს საბჭოთა ადამიანებს. საჭიროა, თქვა მან, ყველა ასპექტის, მათ შორის, მოსახლეობის დამატებითი ხარჯების კომპენსაციის პირობების საყოველთაო-სახალხო განხილვა, და ეს კომპენსაცია უთუოდ უნდა იყოს სრული, შეესაბამებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.

ორატორმა თვითკრიტიკულად აღიარა, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები, პროფკავშირული აპარატი ნელა გარდაქმნის თავიანთ მუშაობას. ჯერ კიდევ ხშირია ორგანიზაციული გადამლაშება, ფორმალიზმი, პროფკავშირული ყოყოჩობა, აშკარად არ ვიჩენთ ჭეშმარიტ მზრუნველობას ადამიანებისათვის. მან დაასახელა გარდაქმნის აქტუალური პრობლემები, რომელთა გადაჭრაში უწინარეს ყოვლისა აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირებმა, ამასთან განაცხადა, რომ გარდაქმნა უნდა წარმოებდეს მშრომელთა ინტერესების სასიკეთოდ და არა ამ ინტერესების ხარჯზე.

ტრიბუნაზეა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ი. ვიალიასი.** ესტონეთის პარტიული ორგანიზაციის დელეგაციამ, მოსკოვში რომ მოდიოდა, მიიღო უმაგალითო ემოციური მუხტისა და მასშტაბის განაწესი მიტინგზე, რომელიც გაიმართა რესპუბლიკაში ახლახან წარმოშობილი გარდაქმნის მხარდამჭერი მასობრივი მოძრაობის ინიციატივით. განაწესში გვითხრეს: „დაე, თქვენი ყოველი ნაბიჯი გამსჭვალული ყოფილიყოს პასუხისმგებლობით, როგორც საკუთარი ერის ბედ-იღბლისათვის, ისე მთელ ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების ბედის, სკკპ XXVII ყრილობით დაწყებული განახლების პოლიტიკის განგრძობა-გაღრმავებისათვის". ამ მიტინგში, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ სასიმღერო მინდორზე გაიმართა, მონაწილეობა მიიღო 100 ათასმა კაცმა. ეს ჩვენი სახალხო მანდატია.

ორატორმა თავისი წინადადებანი გადასცა და შეეხო მხოლოდ რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მომენტებს. ცხოვრებას არაერთგზის დაუმტკიცებია ჩვენთვის: როდესაც წინააღმდეგობებს უგულებელყოფ, ისინი სერიოზული დაძაბულობის წყაროდ გიბრუნდება. ეკონომიკაში გამრუდების მთავარ მიზეზებს შორის ორატორმა გამოჰყო საუწყებო, ზეცენტრალიზებული მმართველობა. იგი ხშირად უკუღმართი ფორმებით ვლინდება. ფაქტობრივად, ათობით საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების ხელშია თავმოყრილია რესპუბლიკის მთელი ეკონომიკური პოტენციალის 90 პროცენტზე მეტი. არსებულ ურთიერთობათა პირობებში მათი ინტერესების შესატყვისება რესპუბლიკის კომპლექსური განვითარების ინტერესებთან პრაქტიკულად შეუძლებელია. სასიხარულოა, რომ ამ მაღალ პარტიულ ფორუმზე საყოველთაო მხარდაჭერა პოვა სწორედ რეგიონულმა სამეურნეო ანგარიშმა და თვითდაფინანსებამ. თანაც ეს არ გულისხმობს რეგიონულ განცალკევებას ან კუთხურ ეგოიზმს. პირიქით — გულისხმობს რეგიონის სრულ პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ ეფექტიანად გამოიყენებს თავის ბუნებრივ, საწარმოო და შრომით რესურსებს, შეინარჩუნებს დამკვიდრებულ ეკონომიკურ კონტაქტებს და დაიცავს საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. დღეს გაჩნდა ჩვენი პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დამყარების საიმედო გარანტია, ხაზგასმით აღნიშნა დელეგატმა.

რვა წელიწადს ვიყავი დიპლომატიურ სამუშაოზე სამხრეთ ამერიკასა და ნიკარაგუაში, განაგრძო მან. ამ ოთხი კვირის წინ ესტელის ფრონტისპირა ზონაში გახლდით, ჰონდურასის საზღვარზე. აქ არის „კონტრასების" ძირითადი ბანაკები. თესვა მიმდინარეობდა. გლეხები ამუშავებდნენ მიწას, ხოლო ზურგზე მოგდებული ჰქონდათ ავტომატები. მათ ყოველ წამს უხდებათ დაიცვან თავიანთი მიწა. ამ ალალმა ადამიანებმა მთხოვეს გადმოვცე საბჭოთა ადამიანებს, რომ მათ სჯერათ საბჭოთა კავშირისა, რადგან აქ ცხოვრობენ მათი მეგობრები, ყველა იმათგანის მეგობრები, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის. ეს ძალზე დიდი ნდობის მანდატია. ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ახლებური აზროვნება და პოლიტიკური ვაჟკაცობა საგარეო პოლიტიკაში უკვე გვაძლევს თვალსაჩინო შედეგებს, გვიმკვიდრებს ნდობას ჩვენი ქვეყნისადმი, განუზომლად გაიზარდა მისი ავტორიტეტი, საფუძველი შეექმნა განიარაღების გზით ახალი თამამი ნაბიჯის გადადგმას.

დასასრულ, მინდა გამოვთქვა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი მოსაზრება ბ. ნ. ელცინის გამოსვლასთან დაკავშირებით. იგი ნიკარაგუაში იყო, სადაც მეთაურობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას. ხვდებოდა იქაურ ხალხს, სანდინისტურ ხელმძღვანელობას. მუშებთან შეხვედრის დროს, არ ვიცი, დაუფიქრებლობის ან, იქნებ, დაღლილობის გამო წამოსცდა ასეთი ფრაზა: „თქვენ რა, მუშაობა არ გინდათ? პერანგისამარა დადიხართ". ეს ტელევიზიამ გადასცა. ნიკარაგუაში, მართლაც ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებსაც ჩასაცმელი არა აქვთ. შემდეგ ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული ხელმძღვანელი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს მეგობრებს, რომლებთანაც ჩადის. კაცს, რომელიც მაღალი პარტიული ფორუმის წინაშე გამოდის, საამისოდ უნდა ჰქონდეს პარტიული სინდისი.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სოციალური გარანტიების ფართოდ განტოტვილი სისტემა, თქვა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარემ **ზ. პ. პუხოვამ.** დედათა და ბავშვთა დაცვა ჩვენში სახელმწიფო პოლიტიკად არის გამოცხადებული. მაგრამ განა ხორციელდება ყოველივე, რაც ჩავიფიქრეთ? ვაი, რომ —არა.

დაუფარავად უნდა ვაღიაროთ, ხაზი გაუსვა დელეგატმა, რომ ქვეყანაში ქალის მდგომარეობა ჯერ კიდევ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენს. მისი გადაჭრა დამოკიდებულია გარდაქმნის წარმატებაზე, და, თავის მხრივ, გარდაქმნა დამოკიდებული იქნება ქალებზე, იმაზე, თუ რაოდენ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ისინი გარდაქმნაში.

სამოცდაათი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა საბჭოთა ქალის — მშრომელის, დედის, მოქალაქის ახალი სახე. მაგრამ როგორია ამ როლების შეთავსების პირობები? აღნიშნული პრობლემის სიმწვავე სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია ჩვენს საზოგადოებას, მიაჩნია ორატორს.

თითქოს, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დანერგვამ უნდა შეცვალოს არსებული მდგომარეობა, მაგრამ ჯერჯერობით ახალ რეფორმას ახალ-ახალი პრობლემები მოაქვს. სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადასვლამ, შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმების დანერგვამ, როგორიც არის ბრიგადული იჯარა, საფრთხე შეუქმნა შრომითი კოლექტივის ყველაზე უმწეო ნაწილს — ბავშვიან ქალებს. ისინი „არასასურველი" მუშახელი ხდებიან. შტატების შემცირებისას პირველ რიგში ქალებს ამცირებენ.

სამეურნეო ანგარიშის პირობებში გაჩნდა ისეთი პრობლემებიც, როგორიც არის ბავშვების დაყოფა „თავისიანებად" და „უცხოებად" საუწყებო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის განკუთვნილი სახსრების შეზღუდვა, საშეფო დახმარების დაუსაბუთებელი ეკონომია. არადა, ეს ხომ მარტოოდენ ეკონომიკური პრობლემები არ არის. ხშირად სამეურნეო ხელმძღვანელები იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყონ ინჟინრის აზრის ამოქმედებას, მიმართავენ სამუშაო დროის მანიპულირებას: ამუშავებენ ნაირ-ნაირ გრაფიკებს, აცხადებენ „შავ" შაბათობებს, არ ფიქრობენ იმაზე, რომ მთლიანად გამორიცხონ ქალთა მუშაობა ღამის ცვლაში.

არადა, შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ღამის ცვლაში ქალთა მუშაობა აკრძალულია და დაიშვება მხოლოდ როგორც დროებითი ღონისძიება განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში. ხომ არ გაჭიანურდა ეს დროებითი ღონისძიება? მთელი რიგი სამინისტროები ისე ნელა წყვეტენ ესოდენ მწვავე საკითხს, რომ ასეთი ტემპის პირობებში ორმოცდაათი წელიც არ ეყოფათ.

ქალებს მინიჭებული აქვთ ფართო კონსტიტუციური უფლებები. საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ მთავარი ხდება ამ უფლებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების დაცვა. ისეთი მექანიზმი, რომელიც ქალებს მიანიჭებდა სოციალური დაცვის გარანტიას, კონტროლს გაუწევდა კანონების შესრულებას, ჩვენ არ გაგვაჩნია.

დელეგატმა წამოაყენა წინადადება დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს შეისწავლოს ეს საკითხი, გაითვალისწინოს კომპლექსური სოციალური პროგრამების მომზადებისას სპეციალური პროგრამა ქალების მიმართ. სისტემად უნდა შემოვიღოთ მისაღებ გადაწყვეტილებათა სოციალური შედეგების ანალიზი.

დასასრულ ორატორმა თქვა, რომ ახლებური აზროვნება მოითხოვს ახლებურად მივუდგეთ ხელმძღვანელ სამეურნეო, საზოგადო და სახელმწიფო სამუშაოზე ქალთა დაწინაურების პრობლემას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ე. კ. ლიგაჩოვს.** მან თქვა:

პატივცემულო ამხანაგებო! ხელმძღვანელობაში შემავალ სხვა ამხანაგებთან შედარებით ჩემთვის, ალბათ, უფრო ძნელი იქნება ლაპარაკი ბორის ნიკოლოზის ძე ელცინის გამოსვლასთან დაკავშირებით. და არა მარტო იმიტომ, რომ მან ჩემზეც ილაპარაკა. უბრალოდ, დადგა დრო, გიამბოთ მთელი სიმართლე. რატომ მიჭირს ლაპარაკი? იმიტომ, რომ მე მივეცი ბ. ნ. ელცინს რეკომენდაცია ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობაში, შემდეგ კი პოლიტბიუროში. რით ვხელმძღვანელობდი? ვხელმძღვანელობდი იმით, რომ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინი ენერგიული მუშაკია, იმ დროს დიდი გამოცდილება ჰქონდა შეძენილი თვალსაჩინო, ჩვენს პარტიაში ყველასათვის პატივსაცემ სვერდლოვსკის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში. მე მინახავს ამ ორგანიზაციის მუშაობა, როდესაც სვერდლოვსკში ჩავსულვარ როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ვერ დავდუმდები, იმიტომ რომ კომუნისტი ელცინი მცდარ გზას დაადგა. აღმოჩნდა, რომ მას ჰქონია არა აღმშენებლობითი, არამედ დამანგრეველი ენერგია. გარდაქმნის პროცესის, პარტიის მიერ აღიარებული მიდგომებისა და მუშაობის მეთოდების ელცინისეული შეფასებანი მცდარი და უსაფუძვლოა. ასეთი დასკვნა გამოიტანეს პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტმაც და ცენტრალური კომიტეტის პლენუმმაც, რომელსაც იგი სალსალამათი ესწრებოდა. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე გამოვიდა 50-ზე მეტი კაცი და ყველამ ერთხმად მიიღო თქვენთვის ცნობილი გადაწყვეტილება.

არის მის გამოსვლაში გონივრული წინადადებანი. მაგრამ მთლიანად გამოსვლა მოწმობს, რომ შენ, ბორის, არ გამოგიტანია სწორი პოლიტიკური დასკვნები. უფრო მეტიც, შენ მთელი ჩვენი პოლიტიკა თავიდან ბოლომდე იმპროვიზაციად წარმოსახე.

დაუკვირდით, ამხანაგებო: გარდაქმნის პოლიტიკა ღრმა ანალიზის განუხორციელებლად გამოაცხადესო:... ისე არ დაიწყეს, როგორც უნდა დაგვეწყოო... შესამჩნევი შედეგებისთვის ვერ მიგვიღწევიაო.

მაშასადამე, ყოველივე, რაც მოხსენებასა და დელეგატთა გამოსვლებში ითქვა ამის თაობაზე ოთხი დღის განმავლობაში, თავიდან ბოლომდე მონაჩმახი ყოფილა? მაშასადამე, პარტია და ხალხი ამაოდ დაშვრალან? იცი რა, ნუ გეწყინება, მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა. ხოლო ობიექტურად რომ გითხრა, მიზნად ისახავს დათესოს ეჭვები, ამას კი სულმოუთქმელად მოელიან ჩვენგან საზღვარგარეთელი ავისმდომნი. დათესოს ეჭვები პარტიის პოლიტიკური კურსის განხორციელების სისწორეში. მაპატიე, მაგრამ აქ ჩემი და შენი გზები იყრება არა მარტო ტაქტიკაში, არამედ სტრატეგიაშიც.

სიტყვამ მოიტანა და, შენ სარგებლობ ფრიად საეჭვო ხერხით, სხვა რომ არა ვთქვათ და, არა ამხანაგურით: ჯერ მიაწერ კაცს იმას, რაც არ სჩვევია, შემდეგ კი თავს აცხრები და გმობ. სხვა რომ არაფერი ვთქვა, ეს უცნაურია.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, ამხანაგებო, მომეცეს შესაძლებლობა მოკლედ ჩამოვაყალიბო ჩემი პოზიცია, ჩემი შეხედულება პარტიის მუშაობასა და პოლიტიკაზე.

ყველაზე მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი: პოლიტბიუროს პოზიცია — ეს ჩემი პოზიციაც არის. ხოლო როგორ ვმუშაობ მე — თავად განსაჯეთ. გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ გარდაქმნისა და დაჩქარების პოლიტიკა — ეს არის როგორც თქვენი, ისე ჩემი, პირადად, და ჩემი ამხანაგების ცხოვრების საქმე.

ისტორიამ ასე დააყენა საკითხი: ან გავწიროთ ქვეყანა შემდგომი ვაგლახადყოფნისათვის, ანდა — მოვიკრიბოთ ძალა და გავიჭრათ წინ პროგრესისაკენ. ასე დგას საკითხი და სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს.

ვფიქრობთ, დამეთანხმებით, რომ ეს პარტიული კონფერენცია ნამდვილად გვმატებს ახალ რწმენასა და პოლიტიკურ გამოცდილებას. გაზვიადებად არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ განვლილი დღეების მანძილზე ამ დარბაზში მიმდინარე მოვლენებმა არსებითად დააწინაურეს გარდაქმნის დიადი საქმე.

მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ გარემოებას. ვინ მოთვლის, რამდენი სპეკულაცია იყო საზღვარგარეთ კონფერენციის წინ! მთელი ტომები დაიწერა. განსაკუთრებით — ხელმძღვანელობაში ვითომდა დასახული განხეთქილების შესახებ. და ყველა ეს პროგნოზი საპნის ბუშტივით გასკდა.

ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ და თქვენ და მთელი ჩვენი ხელმძღვანელი ბირთვი პარტიული კონფერენციიდან გამოვდივართ კიდევ უფრო მეტად შეკავშირებულნი, კიდევ უფრო მტკიცენი და გულგამაგრებულნი ჩვენი საზოგადოების გარდაქმნისათვის ბრძოლაში. **(ტაში).** თანაც, ამას მინდა ხაზი გავუსვა, ეს არის არა მოჩვენებითი, არამედ არსებითი შეკავშირება და იგი მოპოვებულია დისკუსიებში, სოციალიზმის განსამტკიცებლად მიმდინარე აზრთა ცოცხალ გაზიარებაში.

უაღრესად საჭიროა, ამხანაგებო, ვხედავდეთ და ვგესმოდეს, რა ძალების პატრონნი ვართ. ეს ძალები უდიდესია. და ამას მოწმობს მთელი ჩვენი კონფერენციის მიმდინარეობა. იგი ცხადყოფს ხალხის გაღვიძებულ აზრს, რომელშიც უდიდესი გარდამქმნელი ძალაა ჩაქსოვილი.

ამასთანავე, ნებისმიერი თვალსაზრისით — გნებავთ, ისტორიული, გნებავთ, პოლიტიკური თუ ზნეობრივი თვალსაზრისით, — უბრალოდ მიუტევებელი იქნებოდა დაგვევიწყებინა, და ეს მოხსენებაში არც არის დავიწყებული, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ათწლეულების მანძილზე მილიონობით კომუნისტი, მშრომელი მთელ თავის ძალ-ღონეს, ვაჟკაცობას, სიცოცხლეს ახმარდა სწორედ იმისათვის ბრძოლას, რომ მეტი სოციალიზმი გვქონოდა. მათ არ შეუბღალავთ თავიანთი პარტიული ბილეთები, თავიანთი შრომითი ბიოგრაფიები უპრინციპობითა და კარიერიზმით. მათი ნათელი სახელი, მათი შრომითი გამარჯვებები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი სამშობლოს მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, დღესაც ემსახურება პარტიისა და ხალხის გარდამქმნელ მუშაობას.

თუ რა არის პიროვნების კულტი, მე, სამწუხაროდ, ყურმოკვრით როდი ვიცი. არ მინდოდა ჩემზე ლაპარაკი, მაგრამ აქ ვიტყვი — ჩვენც გვყავდნენ ოჯახში დახვრეტილებიც და პარტიიდან გარიცხულებიც. XX პარტყრილობის შემდეგ ისინი ყველანი რეაბილიტირებული არიან როგორც მოქალაქენი და კომუნისტები. და ჩვენ კარგად ვიცით, რა გმირულად იღვწოდა ჩვენი ხალხი პიროვნების კულტისა და უძრაობის მოვლენების მიუხედავად, და ამ ასპექტით მთლიანად და სავსებით ვუჭერ მხარს ამხანაგების ბონდარევისა და ოლეინიკის გამოსვლებს **(ტაში).**

ამხანაგებო, განა შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ ისტორიული სიმართლის აღდგენის ალმით ხშირად მიმდინარეობს მისი სრული გაუკუღმართება? განა შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ საბჭოთა ადამიანები — ჩვენივე საბჭოთა ბეჭდვითს გამოცემებში! — გამოსახული არიან მონებად (მე თითქმის სიტყვა სიტყვით მომყავს), რომლებსაც ვითომდა მხოლოდ სიცრუითა და დემაგოგიით უმასპინძლდებოდნენ, უსასტიკეს ექსპლოატაციას უწევდნენ?

ჩვენმა პრესამ დიდი მუშაობა გასწია გარდასაქმნელად. მაგრამ ამასთანავე, დიდი გულისტკივილით მიხდება ამის თქმა, ცალკეულმა, ხაზს ვუსვამ, გაზეთების, ცალკეულმა რედაქტორებმა მათ მიმართ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პატივისმცემლური დამოკიდებულება და ნდობა, ეტყობა, ისე აღიქვეს, რომ შეუძლიათ გამოიჩინონ თვითნებობა, უარი თქვან პარტიულ კონტროლზე, გამოიყენონ გაზეთები პირადი ანგარიშის გასასწორებლად. ჯგუფობრიობა მხარს უჭერს უღირს ადამიანებს. ეს ხომ სწორედ მათ ეკუთვნით აზრი გარდაქმნისადმი წინააღმდეგობის გაძლიერების შესახებ, მოწოდებანი — გამოავლინონ გარდაქმნის მტრები, ჩამოწერონ მათი სიები. ძალზე ხშირად არჩევენ ამ მიზნით ყოვლად ტენდენციურ მკითხველთა წერილებს. **(ტაში).** უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი და ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიები ჯეროვან დასკვნებს გამოიტანენ დელეგატთა სრულიად მართებული, პრინციპული გამოსვლებიდან ამის თაობაზე.

უძრაობის წლებში მე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ციმბირში — მკაცრ, მაგრამ ჭეშმარიტად მშვენიერ მხარეში. ჩემთვის ხშირად უკითხავთ, მაინც რას აკეთებდით იმ დროს. და მეც ამაყად მიპასუხია: სოციალიზმს ვაშენებდით-მეთქი. ასეთები კი მილიონები იყვნენ. **(ტაში).** ღალატი იქნებოდა არ გამეხსენებინა ისინი, ვისაც ჩემი ბედი დავუკავშირე, ვისთან ერთადაც ვიყავი ჭირსა თუ ლხინში. ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის. ყველაფერი როდი გამოგვდიოდა ერთბაშად. ვიყავით კეთებასა და გადაკეთებაში. მაგრამ ვშრომობდით თავდაუზოგავად, იქნებ, იმიტომ, რომ ვიცოდით: ციმბირს იქით ხომ ვერ გაგვგზავნიდნენ. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ვშრომობდით, რათა ადამიანებს უკეთ ეცხოვრათ, რათა სახელმწიფოსათვის მეტი მიგვეცა და დაგვეცვა ოლქის ინტერესები.

არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გამიგებთ, რატომ — ვიტყვი. უკვე 10 წელზე მეტია, ოლქი, რომელშიც მე კონფერენციის მონაწილე ამხანაგებთან ერთად ვმუშაობდი, სასურსათო პროდუქტებით მარაგდება მთლიანად და სავსებით საკუთარი წარმოების ხარჯზე, თანაც, კარგი ულუფით, შენ

(დასასრული მე-4 გვ.).

რევოლუციურ განახლებას — შეუქცევადი ხასიათი

(დასასრული)

კი, ბორის, 9 წელიწადს მუშაობდი საოლქო კომიტეტის მდივნად და მთელი ოლქი ტალონებზე დასვი. (ტაში). აი, რას ნიშნავს პოლიტიკური ფრაზა და რეალობა. აი, რას ნიშნავს სიტყვისა და საქმის სხვაობა. (ტაში).

მინდა სხვა რამეც ვთქვა, იმიტომ, რომ ხშირად მხოლოდ ცალ-...

საკითხთა განხილვისას ცენტრალური კომიტეტის მდივნები ზოგჯერ აწყდებიან კადრების უდისციპლინობის გამოვლინებებს, დუნე ხელმძღვანელობას. როგორ ვიქცევით ასეთ შემთხვევაში? ვთხოვთ ნამდვილად პარტიულ პასუხს. ჩვენ ხომ დავთქვით, რომ საზოგადოებაში არ უნდა იყოს კრიტიკისათვის დახშული არავითარი ზონა, რომელიც კონტროლს ...

და ამის შესახებ აქ შეშფოთებით ილაპარაკა დელეგატმა ტ. სარნსკიხმა. ამას მეუბნებოდა ბევრი კომუნისტი მუშაც, როცა ამ ცოტა ხნის წინათ ვიყავი კუიბიშევის ოლქში.

საერთოდ შეღავათებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა შემდეგი: საჭიროა, უახლოეს ხანს გამოქვეყნდეს ოფიციალური მონაცემები ამ საკითხზე, ვინაიდან, ხალხსა და ...

საქმიანობის ღრმა რევოლუციურ ცვლილებებს შეეხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ი. ა. კვიციანსკი. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ჩვენი ქვეყნისაკენ, როგორც ოქტომბრის შემდგომ ბოლოხანს წლებში. იზრდება სიმპა-...

გიონებშიც. ამასთან დაკავშირებით, შენიშნა ორატორმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ მოხსენების დებულებას იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ განახლდეს ხოლმე ცენ-...

ვე იმაზე, რაც ი. კ. ლიგაჩოვმა ილაპარაკა ამხანაგ ელცინზე, როგორც ადამიანსა და პარტიულ მუშაკზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: კონფერენ-...

ძოეკიდნენ, ვხედავდით, რომ მას მართლაც უკეთესი უნდოდა.

ელცინი იყო ჩემთან ქარხანაში ექვსი საათის განმავლობაში და უსამართლო, არაკომპეტენტური ...

ლებით განიხილეს პროექტი რეზოლუციისა „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“.

...

დიადი საქმე ... ცხლის აზრად ... ივი ტაში).

... ... კომიტეტის აპრი- ... დეგ საბჭოთა ... ური პარტიის ... პოლიტიკური

... ურის ლენინური ... ნორმებიდან გადახრის სათავეები, პრინციპულად შეფასდა მრავალი ადამიანის საქციელი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამაში.

განწმენდის ასეთივე პროცესი მიმდინარეობს ქვეყნის სხვა რე-...

... მიიღო ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება.

ხოლო რაც შეეხება ბ. ნ. ელცინის მიერ დასმულ საკითხს მისი პოლიტიკური რეაბილიტაციის შესახებ, განაცხადა ორატორმა, აღარაფერი რომ აღარ ვთქვათ უკ-...

... 1946 წლიდან, ერთი და იგივე გასასვლელში გავდივარ ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, თქვა მან. როცა ამხანაგი ელცინი მოვიდა ჩვენთან მოსკოვში, იგი მეტად კარგად მიიღეს. მას მხარი დაუჭირეს, ყურადღებით ...

... ლი განხილვა გაიმართა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, რის შემდეგ დელეგატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია შესწორებებითა და დამატებებით.

კომისიის თავმჯდომარის წარდგენის შემდეგ ასევე დაწვრი-...

... რეზოლუციას ერთხმად იღებენ დელეგატები.

კონფერენცია დახურულად ცხადდება.

დელეგატები ასრულებენ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

(საქინფორმი).



3 ივლისი საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეა

ფოთის გემთშემკეთებელ-სამშენებლო ქარხნის წყალქვეშაფრთიან გემებს მთელ მსოფლიოში შეხვდებით. ისინი ზღვებს სერავენ იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ინგლისის, თურქეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ალმებით.

ყველა ამ გემში ჩაქსოვილია გემამწყობთა ბრიგადის შრომაც, რომელსაც მეთაურობს კომუნისტი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რომან ეჯიბაია.

სურათებზე: გასაგზავნად გამზადებული წყალქვეშაფრთიანი გემები; რ. ეჯიბაიას ბრიგადის წევრები ცვლის შემდეგ.

ზ. კრიმსკის („კომუნისტი“) ფოტო.

ფესტივალი

მუსიკისა და მეგობრობის ენით

მასპინძელია ქუთაისი

დღეს ქალაქი ქუთაისი სიხხლსავსე მუსიკალური ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. ტრადიციული მუსიკალური ფესტივალი ათი დღის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებს უმასპინძლებს. წლევანდელი დათვალიერება ეძღვნება „საბჭოთა სადირიჟორო სკოლის სიამაყეს“ ევგენი მიქელაძის ხსოვნას, რომელსაც წლეულს 85 წელი შეუსრულდებოდა.

წინა ორისაგან განსხვავებით ამჟამინდელი საფესტივალო აფიშა ჟანრული მრავალფეროვნებითა და მიმზიდველობით გამოირჩევა. საოპერო, სიმფონიური და კამერული მუსიკის გარდა ამჯერად წარმოდგენილი იქნება საბალეტო მუსიკაც.

ხელოვანთა ნამდვილი ელიტა ესტუმრა ქუთაისს. უმეტესი მათგანი უკვე ქუთაისშია, ზოგიც მოგვიანებით შეუერთდება ფესტივალს. მსმენელებს საშუალება ექნებათ შეხვდნენ და მოუსმინონ საბჭოთა სცენის ოსტატებს ირინე არხიპოვას, ელენე ობრაზცოვას, ზურაბ სოტკილავას, იგორ მოროზოვს, იური მაზუროვს, ცისანა ტატიშვილს, მედეა ამირანაშვილს, ლამარა ჭყონიას, ზურაბ ანჯაფარიძეს, ნოდარ ანდღულაძეს... ბალეტის საღამოებში მონაწილეობს ნინო ანანიაშვილი და ირეკ მუხამედოვი, აგრეთვე თბილისის, ბაქოსა და ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრების სოლისტები. მსმენელები შეხვდებიან აგრეთვე ცნობილ დირიჟორებს ოდისეი დიმიტრიადის, ჯანსუღ კახიძეს, დაგეგმილია გამოჩენილი კომპოზიტორების ანდრია ბალანჩივაძისა და სულხან ცინცაძის შეხვედრა-კონცერტები.

სიტყვას ვაძლევთ ფესტივალის სტუმარ-მასპინძლებს.

ჯანსუღ კახიძე:

ბოლო წლებში საქართველოში მრავალი მუსიკალური დღესასწაული დამკვიდრდა. ეს ფაქტი მისასალმებელია და ძალზე მახარებს, რადგან იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ქუთაისის ფესტივალმა უკვე გარკვეული ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა.

წელს ფესტივალის გახსნის საპატიო მისია წილად ხვდა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს. საერთოდ ორკესტრიც და მეც პირველად ვმონაწილეობთ ქუთაისურ ზეიმში, რომელსაც ესოდენ მასშტაბური ხასიათი აქვს. ჩვენ კარგი სურვილებით ჩამოვედით ფესტივალზე, ვეცდებით ქუთაისელ მუსიკის მოყვარულთა წინაშე ღირსეულად წარვდგეთ.

ზურაბ სოტკილავა:

ახლანდელ ფესტივალს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან იგი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის ხსოვნას. აქედან გამომდინარე წლევანდელი დღესასწაული „საოპერო სცენის ოსტატები“ თავის ფარგლებს სცილდება. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა მუსიკალური ხელოვნების ყველა ის ჟანრი, რომელზეც კი ხელი მიუწვდა უდროოდ დაღუპულ დირიჟორს.

გარდა ჟანრული მრავალფეროვნებისა ფესტივალი მოიცავს კიდევ ერთ საინტერესო სიახლეს. ჩემი წინადადებით ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყობა კარნავალი. აქ თავს მოიყრიან, როგორც პროფესიული ორკესტრები, ისე არაპროფესიონალებიც, მოცეკვავეთა ჯგუფები... ერთი სიტყვით, ეს იქნება ნამდვილი საერთო-სახალხო ზეიმი ხელოვნებისა, მეგობრობისა, რომელშიც მთელი საზოგადოებრიობა მიიღებს მონაწილეობას.

სამწუხაროდ, ამჯერად ქუთაისში ვერ ჩამოვა მაყვალა ქასრაშვილი, ვინაიდან იგი ლონდონში იმყოფება გასტროლებზე.

მაშ ასე, მუსიკის დღესასწაული დაიწყო და ვიმედოვნებთ ქუთაისელები ისეთივე გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით უმასპინძლებენ ფესტივალის ყველა მონაწილეს, როგორც ეს მდიდარი მუსიკალური ტრადიციების მქონე მათს ქალაქს შეეფერება.

თამარ გვაძაბია,
ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი:

ამაღლებული საზეიმო განწყობილება სუფევს ქუთაისში. კარგა ხანია ვემზადებით საოპერო ფესტივალისათვის, რომელმაც დღეს აიღო პირველი აკორდი და მთელი დეკადა გასტანს.

ჩვენ, ქუთაისელი მსმენელები ამ ფესტივალზე უკვე მესამედ ვეზიარებით უმაღლეს პროფესიონალიზმს, განუმეორებელ საშემსრულებლო კულტურას. როგორც წინა ორი ფესტივალი, ეს მესამეც იქნება შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მეგობრობის ჭეშმარიტი სკოლა.

ასეთი ფესტივალების ტრადიციად დამკვიდრება ძალიან ბევრს გვავალებს ქუთაისელ პროფესიონალებს. მან უთუოდ უნდა აამაღლოს ჩვენი ქალაქის მუსიკალური კულტურის საერთო დონე.

მივესალმები ქუთაისის მიწაზე საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის ვარსკვლავთა ჩამობრძანებას და ათასობით თანაქალაქელის სახელით წინასწარ მადლობას ვუხდი მათ, აგრეთვე ფესტივალის მესაძირკვლეებს მ. ქასრაშვილსა და ზ. სოტკილავას, რომ ასე უშუალოდ შეგვაზიარეს დიდ ხელოვნებასთან.

ტელევიზია

თბილისი

კვირა, 3 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.10 — „დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე“. 9.20—მხატვრული ფილმი „მკურნალის მოწაფე“. 10.30 — კინოაფიშა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — საკვირაო გამოფენა. 11.35 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.05 — „ქართული სოფლის ჟამთასვლა“. 12.40 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.10 — მოსწავლეთათვის — „წითელი ყელსახვევი“. (განმეორებით). 13.35 — საკვირაო გამოფენა. 13.40 — „ამაგდარი“. ბიბლიოთეკარი ნაზი ელიავა. 14.00 — „მესტნიკი“. 15.00 — ნ. დუმბაძე — „გამარჯობათ, ხალხო!“ 17.05 — „რა ვიცით იოგას შესახებ?“. 18.00 — „მხიარული ეკრანი“. 18.40 — მისალები გამოცდების წინ „მოუსმინეთ რექტორს“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — „რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს“. 21.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“. მიხეილ კვესელავა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის ხსოვნის საღამოზე. 0.25 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 03421 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ##. 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14